


# შეკვეთილში ჩაის ფესტივალი გაიმართა



შეკვეთილის მუსიკოსთა პარკში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით ქართული ჩაის ფესტივალი

▶▶▶ გვ–2


# ალიონი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 18 (10454) 2 აგვისტო, 2023 წ. ფასი 80 თეთრი.


## ზაზა ფაჩულიას სახელობის საკალათბურთო მოედანი გაიხსნა



**ალიონი.** ოზურგეთში კულტურისა და დასვენების პარკში ზაზა ფაჩულიას სახელობის საკალათბურთო მოედანი გაიხსნა. პროექტი კომპანია გალფის, ზაზა ფაჩულიასა და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ერთობ-ლივად განხორციელდა.

საკალათბურთო მოედნის გახს-ნას ამერიკის ელჩი **კელი დეგნანი** დაესწრო.

თანამედროვე სტანდარტების საკალათბურთო მოედანზე, რომელიც ოზურგეთში გაიხსნა ვარჯიშისა და ტურნირების ჩატარებას შეძლებენ.

— *„ჯანსაღი ცხოვრება ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის, რის გარშემოც შევიკრიბეთ „გალფთან“ ერთად და გადავწყვიტეთ საქართველოს მასშტაბით 20-მდე მოედანი გაგვეხსნა. ეს არის რიგით მეხუთე მოედანი“,* — განაცხადა **ზაზა ფაჩულიამ.**

— *„ეს პროექტი „გალფის“ სპონსორობით ხორციელდება. ჩემს უკან ახლა კალათბურთის გულშემატკივრებს ხედავთ. ეს საზოგადოებისთვის ძალიან კარგი რამ არის და მოხარული ვარ აქ ყოფნით“,* — განაცხადა დეგნანმა.

ცნობილი კალათბურთელი ოზურგეთელ ახალგაზრდებს შეხვდა. სამწუხაროდ უამინდობის გამო მასტერკლასის ჩატარება ვერ მოხერხდა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ - გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანებასთან არსებული კალათბურთის სექციის სპორტსმენები და ( თითქმის ყველა ბავშვი ოზურგეთიდან) მწვრთნელები ფოტოების გადაღებით შემოიფარგლნენ.

უნდა აღინიშნოს ის ,რომ კომპანია გალფი ზაზა ფაჩულიასთან ერთად მსგავსი ტიპის პროექტებს სხვადასხვა რეგიონში ახორციელებენ და ეს პროექტი კალათბურთის, სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციას ემსახურება.

## ოზურგეთში ბენია ჩხიკვიშვილის ბიუსტი გაიხსნა

**ალიონი.** გასულ პარასკევს, ოზურგეთში, საზეიმოდ გაიხსნა „გურიის რესპუბლიკის“ პრეზიდენტის, საქართველოს დამფუძნებელთა კრების წევრის, 1919-1920 წლებში თბილისის მერის, **ბენია ჩხიკვიშვილის** ბიუსტი.

ოზურგეთის სახელმწიფო თეატრში გაიმართა კინორეჟისორ ირაკლი მახარაძის მიერ გადაღებული დოკუმენტური ფილმის „ბენია“ ჩვენება.

საღამოს უძღვებოდა საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი, პოეტი **გიორგი კეკელიძე.**

დამსწრე საზოგადოებას მიმართეს: ბიზნესმენმა, კომპანია „გალფის“ დამფუძნებელმა **ივანე ნაკაიძემ,** კინორეჟისორმა, მწერალმა და მკვლევარმა **ირაკლი მახარაძემ;** ბენია ჩხიკვიშვილის შვილთაშვილმა **ეკა ჩხიკვიშვილმა,** სახელმწიფო რწმუნებულმა გურიის მხარეში **გიორგი ურუშაძემ,** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა **ავთანდილ თალაკვაძემ,** მოქანდაკე **ლევან ვარდოსანიძემ,** რეჟისორმა **ბასა ფოცხიშვილმა.**

საზეიმო ცერემონიალს ესწრებოდა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში **კელი დეგნანი.**



გურიაში დაბადებული, პროფესიით მასწავლებელი ბენია ჩხიკვიშვილი (1881-1924) აქტიურად იყო ჩაბმული მეოცე საუკუნის დასაწყისის რევოლუციურ მოძრაობაში.

როცა 1905 წელს გურიამ დაუმორჩილებლობა გამოუცხადა რუსეთის იმპერიას და დამოუკიდებელი გურიის იმპერია შექმნა, მის პრეზიდენტად ერთხმად იქნა არჩეული 24 წლის ბენია ჩხიკვიშვილი. არჩევნებში ჩხიკვიშვილმა 970 ხმიდან 958 ხმა მიიღო. მას უწოდებდნენ გურიის პრეზიდენტს და გურიის მეფესაც. 1906 წელს გურიის მოძრაობა სისხლში ჩაახშეს. ჩხიკვიშვილი დააპატიმრეს და გადაასახლეს.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ბენია ჩხიკვიშვილი ციმბირიდან დაბრუნდა. ამიერკავკასიის მთავრობამ იგი შავიზღვისპირეთის რკინიგზის მუშათა რწმუნებულად გაგზავნა, ხოლო სოხუმის დამოკრატიულმა თვითმმართველობამ ქალაქის თავად აირჩია. ებრძოდა ბოლშევიკებს ქუთაისის გუბერნიასა და აფხაზეთში, როგორც ქუთაისის საგუბერნიო კომისარი.

1919-1921 წლებში იყო საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი; 1920 წელს იყო ქუთაისის, შემდეგ კი ბათუმის გენერალ-გუბერნატორი; 1921 წლის თებერვალში წითელი არმიის შემოჭრისას დაინიშნა აღმოსავლეთ საქართველოს გენერალ-გუბერნატორად, ხოლო შემდეგ, 1921 წლის მარტში შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ.

1921 წლის 18 მარტს ბენია ჩხიკვიშვილი დემოკრატიული საქართველოს მთავრობის სხვა წევრებთან ერთად გაიხიზნა უცხოეთში. საფრანგეთში ის იყო ლევილ-სიურორჟის, საქართველოს დევნილი მთავრობის ადგილსამყოფელის მეპატრონე.

1924 წლის მაისში ბენია ჩხიკვიშვილი დაბრუნდა საქართველოში ამბოხებაში მონაწილეობის მისაღებად. ჩხიკვიშვილს შეეძლო უარის თქმა, რადგან მძიმედ იყო ავად, მაგრამ თავი ვალდებულად ჩათვალა ქვეყნის დასახმარებლად დაბრუნებულიყო, თუმცა აჯანყების სისწორეს არ იზიარებდა. ის მალევე დააპატიმრეს და სუზდალის ციხეში გამოამწვდიეს. 1924 წლის აგვისტოში, ფელიქს ძერჟინსკის ბრძანებით, რომელიღაც რუსულ სადგურზე ჩხიკვიშვილი სხვა ქართველებთან ერთად დახვრიტეს.

მისი საფლავის ადგილი უცნობია.

## გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

**საცალო ფასი: 80 თეთრი,**
**ხელმოწერა:**
**ერთი თვით – 3,20 ლარი,**
**სამი თვით – 9,60 ლარი,**
**6 თვით –16 ლარი,**
**ერთი წლით – 32 ლარი.**

***გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.***

***ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.***

***რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.***

***რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.***

***გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.***

სარედაქციო კოლეგია

*რედაქტორი*

**ნუგზარ ასათიანი**

**nugzarasatiani15@gmail.com**

**558 499100**

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*

**გიორგი გოგოლაძე**

**gia_77@mail.ru**

**551 576060**

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3

ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“

მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

**დაიწყეთ ყოველი ოიშაბათი ალიონზე**

**«ალიონით»**

## შეკვეთილში ჩაის ფესტივალი გაიმართა




– „ჩაის გზა“ გაიმართა, რომელსაც გურიაში სახელმწიფო რწმუნებული **გიორგი ურუშაძე,** პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე **არჩილ თალაკვაძე,** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი **ავთანდილ თალაკვაძე.** ფესტივალზე წარმოდგენილი იყო ქართული ჩაის პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა, სამეწარმეო ბაზარი, გასართობი სივრცე ბავშვებისთვის; ღონისძიების ფარგლებში ჩატარდა მასტერკლასები და მოეწყო ფოტო გამოფენა.

– *„შეკვეთილში, მუსიკოსთა პარკში ჩაის ფესტივალს ვუმასპინძლეთ, სადაც სხვადასხვა მუნიციპალიტეტიდან, 60-მდე ჩაის მწარმოებელს და საოჯახო მეურნეობების წარმომადგენლებს საკუთარი პროდუქციის პოპულარიზაციის შესაძლებლობა მიეცა. მცირე ბიზნესის ხელშეწყობა, შიდა ტურიზმისა და ჩაის დარგის განვითარება, ჩვენი პრიორიტეტია და ამ მიმართულებით, მომავალშიც აქტიურად განვაგრძობთ მუშაობას.*

*მადლობას ვუხდი ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას და მუსიკოსთა პარკს მხარდაჭერისთვის! მადლობა ჩვენს თანამოქალაქეებს, ტურისტებს და მეწარმეებს, ფესტივალში მონაწილეობისა და სტუმრობისათვის!“*– აღნიშნა ოზურგეთის მერმა, **ავთანდილ თალაკვაძემ.**

## ჩოხატაურელი სკოლის მოსწავლეები ანაკლიის ბანაკში გაემგზავრნენ



ბანაკი სსიპ „ახალგაზრდობის სააგენტოს“ „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში ხორციელდება და მასში საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან იღებენ მონაწილეობას.

ახალგაზრდებს შესაძლებლობა ექნებათ, ჩაერთონ რეკრეაციულ, სპორტულ და შემეცნებით აქტივობებში.

## კურორტ გომისმთისკენ მიმავალ გზაზე ავარია მოხდა, დაღუპულია ერთი ადამიანი

კურორტ გომისმთისკენ მიმავალ მშენებარე გზის რთულ მონაკვეთზე მიკროავტობუსი ამოყირავდა. . არსებული ინფორმაციით, მასში უცხოელი ტურისტები ისხდნენ და დაღუპულია ერთი პირი – გიდი, რომელიც საქართველოს მოქალაქეა. ამასთან, ვრცელდება ინფორმაცია, რომ არიან დაშავებულები.

ადგილზე სასწრაფო, სახანძრო და პოლიციის ეკიპაჟები იყვნენ მობილიზებულები. მომხდარზე მიმდინარეობს გამოძიება.

ბჟუჟესი-გომისმთის გზის მშენებლობის გამო, აქ გადაადგილება მხოლოდ შაბათ-კვირას არის შესაძლებელი.



## ჯურუყვეთში, ნიგოითში და ლესაში ასფალტის საფარი იგება



რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელში ასფალტის საფარი იგება.

სამუშაოები ამ ეტაპზე ჯურუყვეთის, ნიგოითის და ლესის ადმინისტრაციულ ერთეულებში მიმდინარეობს.

სამუშაოები ლანჩხუთის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** მოადგილე **თორნიკე ტიკაძესთან** და საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძესთან** ერთად დაათვალიერა.

## ჩოხატაურში შშმ პირების მშობლებისთვის სპეციალური თერაპიის კურსი გრძელდება

Bakhvi HPP

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე არასრულწლოვანი პირების მშობლებისთვის სპეციალური თერაპიის კურსი გრძელდება. პროექტის ინიციატორი და ორგანიზატორია არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალები ქალებისთვის“,- ინიციატივის მხარდამჭერი კომპანია ბახვი ჰესი, რომელიც აფინანსებს მოცემულ ინიციატივას, პარტნიორი კი, ადგილობრივი თვითმმართველობა, რომელიც პროექტში მონაწილე პირების ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს.

პროექტის მიზანია სპეციალური თერაპიული ჯგუფური მუშაობის პრინციპით შშმ პირების მშობლებისათვის ფსიქოლოგიური მხარდაჭერა. ტრენინგს უძღვება „ფსიქ-ოთერაპიული სივრცის“ ხელმძღვანელი, ფსიქოლოგი, ფსიქოთერაპევტი **ნინო კერესელიძე.**

*„ორგანიზაცია ქალები ქალებისთვის“ აკეთებს ჯგუფურ შეხვედრებს ქალბატონებისთვის, რომელთაც ჰყავთ განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვები. უკვე 5 შეხვედრა გაიმართა. ლექციები მოიცავს ისეთ თემებს, როგორიცაა, როგორ უნდა მოხდეს სტრესის დაძლევა, ემოციების მართვა და სირთულეებთან გამკლავება. დღევანდელ რეალობაში, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მშობლებმა, რომლებიც ზრუნავენ განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებზე, იგრძნონ საკუთარი თავი არა მარტო და განყენებულად, არამედ დაინახონ, რომ მათზე ზრუნავენ და დაინტერესებული არიან მათი ემოციური მდგომარეობით.*

*პარალელურად, ჩვენი ფსიქოლოგები მუშაობენ ბავშვებთან. კერძოდ, ვაკეთებთ სხვადასხვა თამაშს, ვხატავთ, რათა დედებს მაქსიმალურად მიეცეთ საშუალება, რომ ჩართულები იყვნენ პროცესში“,* – განაცხადა ფსიქოთერაპევტმა, **ნინო კერესელიძემ.**

*„ეს პროექტი ჩვენი ყოველდღიური პრობლემების გადაჭრაში გვეხმარება. ფსიქოლოგის კონსულტაციები ძალიან მნიშვნელოვანია. ტრენინგების ფარგლებში მშობლები ერთმანეთს ვუზიარებთ ჩვენს გამოცდილებას, შთაბეჭდილებებსა და პრობლემებს“,*– განმარტა პროექტის მონაწილე მშობელმა, **ცისია ბერძენიშვილმა.**

*„ბახვი ჰესი, აღნიშნულ პროექტს კომპანიის სოციალური პროგრამის ფარგლებში აფინანსებს. გარდა ამისა, ზოგადად, ჩვენი სოციალური პროგრამა ასევე მოიცავს შშმ პირების დახმარების კომპონენტსაც. მიგვაჩნია, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და მათი მშობლების გაძლიერება, თანამედროვე სამყაროში არსებული გამოწვევების ფონზე, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა. სამწუხაროდ, შშმ პირები ამ ეტაპზე ჯერ კიდევ ვერ ახერხებენ საკუთარი უფლებების სათანადო და სრულყოფილ რეალიზებას. ეს პრობლემა კი, განსაკუთრებით მწვავედ რეგიონებში დგას. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ ის სარგებელი, რაც ჰიდროენერგეტიკულ პროექტებს რეგიონისთვის მოაქვს, თანაბრად უნდა ნაწილდებოდეს საზოგადოების ყველა თანაბარუფლებიან წევრზე, სწორედ ამ მიზნის მიღწევაა ჩვენი ერთ-ერთი ამოცანა და სწორედ ამ მოტივით ვახორციელებთ ჩვენს სოციალურ პროექტებსაც. აქვე დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ფსიქოთერაპიული კურსის ინიციატორს, პირველ რიგში, მსგავსი სარგებლის მომტანი პროგრამის შემუშავებისთვის და ასევე იმისთვის, რომ პროექტის განხორციელებაში ჩართვის საშუალება მოგვეცა“,* – განაცხადა ბახვი ჰესის გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების მენეჯერმა, **დავით კობერიძემ.**

შშმ პირების მშობლებისთვის ფსიქოთერაპიული კურსი ერთ წლიანი პროექტია. 2023 წლის განმავლობაში კი სულ 10 შეხვედრაა დაგეგმილი.

# ეს ფესტივალები არის ყველა მეჩაიეს წინსვლისა და წარმატების მომნიჭებელი



**ალიონი.** გასულ შაბათს, შეკვეთილში, „მუსიკოსების პარკში“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ინიციატივით „ჩაის გზის“ ფესტივალი გაიმართა, რომელშიც არაერთმა მეწარმემ მიიღო მონაწილეობა.. მათ შორის ცნობილი ჩაის მეწარმე **დავით თენიეშვილი** მონაწილეობდა, რომელმაც გაზეთ „ალიონთან“ კომენტარი გააკეთა:

*—მექქსედ ვლებულობ ჩაის ფესტივალში მონაწილეობას. ყველა ეს ფესტივალი არის ყველა ჩვენგანის, ყველა მეჩაიეს წინსვლისა და წარმატების მომნიჭებელი. აქ ჩვენ არა მარტო ქართველ მომხმარებლებს, არამედ უცხოელებსაც ვხდებით. საინტერესო ის არის, რომ ვინც ერთხელ იყიდის ჩვენს ჩაის, ისევ გვიბრუნდება. ეს გვაძლევს დიდ იმედს, რომ ქართული ჩაის ხელახლა დაბადება და მომავალი იქნება. ქართული ჩაი საუკეთესოთა შორის საუკეთესოა.*

**—რამდენი სახის ჩაის ამზადებთ და სთავაზობთ მომხმარებელს?**

*—ჩვენ ვამზადებთ თეთრ ჩაის, მწვანე ჩაის, შავ ჩაის, სხვადასხვა სახის ფოთლებისგან — ერთფოთლიანს, ორფოთლიანს, სამფოთლიანს...ასევე ვამზადებთ მთის მოცვის — ველური მოცვის ჩაის, რომელიც გამოირჩევა სამკურნალო თვისებებით.*

**—რომელი რეგიონები მონაწილეობენ ფესტივალში?**

*— აქ, ფესტივალის მონაწილეთა შორისაა, აჭარის, გურიის ,იმერეთის, სამეგრელოს, რაჭა-ქვემო სვანეთის რეგიონები. აქ გარდა ჩაისა, ჩურჩხელებისა, სასმელებისა, წარმოდგენილია ხელნაკეთი ნივთები, ხელით ნაქსოვები, ფარდაგები, ქუდები, რომლებიც სხვადასხვა რეგიონს განსხვავებული აქვს.*

**—რა როლი აქვს „ბახვი ჰესს“ თქვენს საქმიანობაში?**

*—მე ამ კომპანიის საბჭოს წევრი ვარ და დიდი მათი წვლილი მეწარმეობის განვითარებაში. კერძოდ, ასოციაცია „ჩაის გზის“ შემთხვევაში გვერდით გვიდგას და გვეხმარება ჩვენი ნაწარმის პოპულარიზაციაში. ასევე გვეხმარება უცხო, დაინტერესებული კომპანიების და პირების გაცნობაში. ასე, რომ დიდი ხელშეწყობა აქვს თითოეულ მეწარმეს, რომლებიც „ჩაის გზის“პროექტში მონაწილეობს.*

# პროექტის „მწვანე გურია“ LAG-ის მმართველი საბჭოს წევრები აირჩიეს



ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი განვითარების ჯგუფების (**LAG**) მმართველი საბჭოს წევრების არჩევნები გაიმართა

ევროკავშირის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის „მწვანე გურია - ადგილობრივი დემოკრატიისა და სოფლის განვითარების მხარდაჭერა ინკლუზიური და მწვანე ზრდისთვის“ ფარგლებში, ოზურგეთის ადგილობრივი განვითარების ჯგუფის (**LAG**) მმართველი საბჭოს წევრების არჩევნები გაიმართა.

ორდღიან არჩევნებზე ოზურგეთის ადგილობრივი განვითარების ჯგუფის (**LAG**) მმართველი საბჭოს წევრობაზე 43 კანდიდატი წარსდგა.

შეგახსენებთ, რომ პროექტის ფარგლებში, გურიის რეგიონის სამივე მუნიციპალიტეტში დაგეგმილია ადგილობრივი განვითარების ჯგუფების (**LAG**) შექმნა.

ოზურგეთში საჯარო სექტორიდან **LAG** - ის წევრები გახდნენ: **გიორგი ღურჯუმელიძე, მარიკა ჩხიკვიშვილი, ნანა მელაშვილი, გიორგი ხიდიბეგიშვილი, ლანა ქავთარაძე.**

ქალთა კვოტით: **სოფიო ვასაძე, მაია ჩავლეშვილი, ლია მეგრელაძე, ნანა გოგუაძე;** საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან: **თამარ კვირკველია, გიორგი დარჩია;** სხვა დანარჩენიდან: **გიორგი ასათიანი, კოკა კილურაძე, დავით თენიეშვილი, დავით ასათიანი, გიორგი მეხუზლა.**

ადგილობრივი განვითარების ჯგუფი ჩართული იქნება სოფლის განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრაში, მუნიციპალიტეტის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის შემუშავებაში, სტრატეგიის შესაბამისი საგრანტო პროექტების განხორციელებასა და მონიტორინგში.

პროექტი „მწვანე გურია“ ადგილობრივი დემოკრატიისა და სოფლის განვითარების მხარდაჭერა ინკლუზიური და მდგრადი მწვანე ზრდისთვის'' ხორციელდება ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის **ENPARD IV** ფარგლებში. პროექტს ახორციელებს **CENN**, ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირთან, დემოკრატიის ინსტიტუტთან და ქედის ადგილობრივ განვითარების ჯგუფთან **(LAG)** თანამშრომლობით.

# როგორ მივაღწიოთ ნაკლებქარიანობას,– პრობლემის გადაჭრის გზა არსებობს



ბოლო პერიოდში სხვადასხვა მედიასაშუალებებში, არაერთ გარემოსდაცვით თემაზე დაიწერა, სტატიები, მაგრამ ცოტა ქარსაფარი ზოლების აღდგენის საკითხებზე. არადა საკმაოდ დიდია სტიქიური მოვლენების (ქარი,ქარიშხალი) ცუდი გავლენა მოსახლეობაზე, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე.

სტატიის მომზადების იდეის განხორციელებაში დამეხმარა მედიატურში „აღმოაჩინე“ გურია“ მონაწილეობა, ამ თემაზე კვალიფიციური მოხსენებებიც მოვისმინეთ.

მედიატურის ფარგლებში და შემდეგაც დაბა ლაითურში ვეწვიეთ სათემო ფონდ „ლოტუსს“, სხვა მსგავსი პროექტიც მოვიძიეთ. გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს ქარსაფარი ზოლების დაცვის თემაზე გაზეთ „ალიონში“ ჩვენს მიერ გამოქვეყნებულ სტატიებსაც გადავავლეთ თვალი. სამწუხაროდ, იმ დროს ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე,ქარსაფარი ზოლების განადგურების პროცესი ვერ შეაჩერეს.

პირველი კომენტარი ცნობილ ჟურნალისტს,**ნინა სამადაშვილს** ვთხოვეთ.

*—ქარსაცავი ზოლების აღდგენა ძალიან მნიშვნელოვანია კლიმატის ცვლილებასთან და გაუდაბნოებასთან ბრძოლაში, ასევე, სოფლის მეურნეობაში მოსავლიანობის გაზრდასა და ხარისხიანობის გაუმჯობესებაში. შესაბამისად, კრიტიკულად მნიშვნელოვანია მაქსიმალურად ამაღლდეს ცნობიერება აღნიშნული მიმართულებით საზოგადოებაში.* —გვითხრა მან.

კვლავ ვეწვიეთ დაბა ლაითურში სათემო ფონდ „ლოტუსს“ და მათ მიერ განხორციელებულ საინტერესო პროექტზე ვისაუბრეთ:

**ლია კოტრიკაძე,** პროექტის ხელმძღვანელი: — *ყოფილი საბჭოთა მეურნეობის დროს გაშენებული ქარსაფარი ზოლები იცავდა როგორც დაბის მოსახლეობის საცხოვრებელ სახლებს ფიზკური დაზიანებისაგან, ასევე დაბაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ფართობებს ძლიერი ქარისაგან. უკონტროლო ჩეხვის შედეგად, დღეს ქარსაფარი ზოლების არსებული მდგომარეობა კატასტროფულია. ხშირია ძლიერი ქარები, რომელიც რიგ პრობლემებს წარმოშობს. ძლიერმა ქარმა ბოლო წლებში 20-მდე საერთო საცხოვრებელ სახლს გადახადა სახურავი. სამი წლის განმავლობაში თემში არსებულ საჯარო სკოლას ორჯერ გადახადა სახურავი. ნაწილობრივ გადახადა სახურავი ეკლესიასაც. ძლიერი ქარი იწვევს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ხელშეშლას, —იწვევს ნაყოფის გამოშრობას და უკარგავს ხარისხს, ასევე იწვევს ნიადაგის ეროზიას.*

**— მსგავსი პრობლემები რეგიონის არაერთ დაბას და სოფელს აწუხებს. როგორ შეძელით ამ დიდ გამოწვევასთან შეჭიდება?**

*— დღეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქარსაფარი ზოლების არსებობა, რადგან იზრდება მოსახლეობის რიცხვიანობა. საჭირო ხდება სასოფლო-სამეურნეო მოსავლიანობის ზრდა და გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება, რადგან ინტენსიურად მიმდინარეობს ტყეების გაჩეხვა, გაუდაბნოება, კლიმატის გლობალური ცვლილება.*

*დაბა ლაითურის ტერიტორიაზე არსებული ქარსაფარი ზოლების 80 პროცენტი გასახლებელია.*

*დავწერეთ პროექტი „windless_n-aklebqarianoba“, რომელიც SENN-ში წარვადგინეთ.*

*პირველ რიგში ჩავატარეთ კვლევა, თუ რომელი მხრიდან უფრო მეტად იყო ქარი, შევარჩიეთ 1,5 კილომეტრი მონაკვეთი ხეების დასარგავად. ძალიან დაგვიდგა გვერდით ლაითურის საჯარო სკოლის ეკოკლუბი „მწვანე თაობა“(დალი კილაძე), რომლებმაც კარგი საინფორმაციო კამპანია გასწიეს. დაამზადეს ფლაერები, დაარიგეს მოსახლეობაში. გარემოსდაცვით კამპ-ანიაში სამოქალაქო კლუბის წევრები (ცაცა ქვილორია) ჩაებნენ. დავბეჭდეთ კალენდრები „ნაკლებქარიანობა ლაით-ურში“, ფლაერები და მოსახლეობას დავურიგეთ. მოწვეულმა სპეციალისტმა მოსახლეობას ჩაუტარა შესაბამისი ტრენინგი.*

**— გარემოსდაცვითი სათემო ორგანიზაცია „ეკო“ ახორციელებს გარემოსდაცვით პროექტს , რომელიც ქარსაფარი ზოლების განაშენიანებას ეხება, რომლის რეკომენდაციებში ნიდაგების ტიპედიან გამომდინარე ხეების ჯიშებს გვთავაზობს..**

*— დაბა ლაითურში ჩაის კულტურა ძირითადად მოცვის კულტურამ ჩაანაცვლა .აქ ნიადაგი მჟავიანია და ან კრიპტომერია, ან ალვის ხე უნდა დაგვერგო. აღმოჩნდა, რომ კრიპტომერიას და მოცვს ერთი და იგივე პარაზიტი ჰყოლია, რაც დაავადების რისკს ზრდიდა, ხოლო ალვის ხეს და მოცვს კი —სხვადასხვა. გარდა ამისა ალვის ხე ხასიათდება გამძლეობით, არის სწრაფად მზარდი, წელიწადში იზრდება 60-70 სანტიმეტრი და სიმაღლეში 40 მეტრამდე აღწევს, საკმაოდ ყინვაგამძლეა, კარგად ეგუება ადგილობრივ ნიადაგს, არ აქვს ამონაყარი და საწვავად უვარგისია.*

**— ასეთი პროექტის განსახორციელებლად მნიშვნელოვანია თვითმმართველობასთან თანამშრომლობა..**

*— ოზურგეთის მუნიციპალიტის მერიის ტერიტორიული თვითმმართველობის ერთეულის წარმომადგენლობასთან თანამშრომლობით, ადგილზე ჩამოვიდნენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენლები და მოახდინეს შერჩეულ ტერიტორიაზე მდებარე ხეების აღრიცხვა.*

*აღნიშნულ 1.5 კმ-იან ზოლში დაინომრა 26 ძირი ხე. თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად გადაწყდა, რომ მოჭრილი ხეები დამუშავებულიყო და გადაცემოდა 10 სოციალურად დაუცველ ოჯახს.*

*ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილი ტექნიკით ხის ძირებისაგან გაიწმინდა აღნიშნული ტერიტორია და მომზადდა ნერგების დასარგავად. შემდეგ კი შემოილობა და აგრონომის მეთვალყურეობით და მოსახლეობის მოხალისობრივი ჩართულობით დაირგო ალვის ხეები, რომლის ნერგები ლანჩხუთის სანერგე მეურნეობაში შევიძინეთ რეკომენდაციების შესაბამისად 3-ზოლში 1,5 მეტრი დაცილებით ჭადრაკულად დარგეს 3 000მ ძირი ალვის ხე.. ქარსაფარის დასაწყისში აღიმართა ბანერი წარწერით „ქარსაფარი ზოლის აღდგენა განხორციელდა ევროკავშირის დაფინანსებით „საქართ-ველოს კლიმატური პროგრამის ფარგლებში.“*

**—პროექტი დასრულდა, გაგრძელებას არ აპირებთ?**




*—ამ პროექტის წარმატებით სათემო ფონდ „ლოტუსის“ავტორიტეტი კიდევ უფრო ამაღლა. ვთანამშრომლობთ ოზურგეთის პროგრესის სახლთან, პროექტთან დაკავშირები კოორდინაციას გვიწევდა ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი. ვმონაწილეობთ ლაგების თემაზე გამართულ შეხვედრებში. ვფიქრობთ ქარსაფარი ზოლების აღდგენა-გაშენებით სამოქალაქო სექტორი მეტად უნდა დაინტერესდეს, მეტი ადამიანი უნდა ჩაერთოს ამ პროცესში.*

პრობლემის გადაჭრის გზა — ეს უნდა იყოს სამოქალაქო სექტორის მიზანი.

**ნუგზარ ასათიანი**

# ილიკო გუჯაბიძე -- ამაგდარი ლოტბარი



ქართული ხალხური სიმღერის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა ხალხური სიმღერის საუკეთესო მცოდნემ და შემსრულებელმა **ილიკო გუჯაბიძემ**. სიმღერის შენახვა და გადმოცემა განსაკუთრებულ ნიჭსა და უნარს მოითხოვს.

,, სიმღერაში გაიზარდა და სიმღერაში მოხუცდაო ''- სწორედ ილიკო გუჯაბიძეზე ამბობს ბატ. მიხეილ შავიშვილი, ხალხური სიმღერების მომღერალი და ლოტბარი.

ილიკო გუჯაბიძე დაიბადა 1888 წელს, სოფელ სუფსაში. მამა -- კონსტანტინე იმ დროის



ილიკო ჩიგოგიძე ოჯახთან ერთად

კარგი მომღერალი და ჩონგურზე დამკვრელი იყო. დედა -- მატრონა მეგრელიძე მღვდლის შვილი იყო. იმასაც სცოდნია ჩონგურზე დაკვრა და დამღერება, რაც შთამომავლობით გადაეცა კიდეც ილიკოს. იგი 8 წლის იყო, როცა დედამ ჩოჩხათის სასწავლებელში შეიყვანა, რადგან მაშინ სუფსაში სასწავლებელი არ იყო და სუფსაც ჩოჩხათის თემში შედიოდა.

ილიკოსთვის სიმღერა განსაკუთრებით არავის უსწავლებია. გაიგონებდა თუ არა სიმღერას თითონაც აჰყვებოდა და ჩუმად ხმას აყოლებდა და ასე ისწავლა გურული ხალხური სიმღერები. იმ დროს სუფსაში ცხოვრობდნენ ძმები: ჯაბა, ვახტანგ და ტელემაკ გურიელები, როცა გურიაში კომპოზიტორი ფილიმონ ქორიძე მოღვაწეობდა. ხსენებულმა გურიელებმა მოიწვიეს იგი და მისგან ისწავლეს საეკლესიო გალობა. ამ ფაქტს იხსენებს ილიკო გუჯაბიძე: —,,*ერთ აღდგომა ღამეს არაჩვეულებრივი რამ მოხდა, როცა მღვდელმა ლოცვა დაამთავრა იქ მყოფმა გურიელებმა ახალ ნასწავლი გურული გალობით გამოეძახნენ. ამ ტკბილმა გალობამ იქ მყოფი საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა. წირვის დასრულების შემდეგ გურიელებს შემოესია ხალხი და მადლობას უხდიდნენ. მე კი სიხარულის ცრემლი მდიოდა, ისეთი გალობა მეტი არ გამეგონა.*" ილიკომ გულით მოინდომა გალობის სწავლა და 1910 წელს იქვე მცხოვრებ გაბრიელ სარჯველაძეს სთხოვა ესწავლებინა გალობა მისთვის, რადგან იცოდა, რომ გაბრიელმა ნოტების წაკითხვა იცოდა და საგალობელი წიგნიც ჰქონდა. თავად გაბრიელს ნოტების კითხვა თვით ფილიმონ ქორიძისგან უსწავლებია, მაშინ როცა გურიელებმა სუფსაში ქორიძე მოიწვიეს გალობის შესასწავლად. ადგილობრივ რამდენიმე გლეხს უთხოვია ქორიძისთვის, რომ მათთვისაც ესწავლებინა გალობა. ფილიმონმა არ დაიზარა და დღისით გურიელებს ასწავლიდა, ღამით კი -- გლეხებს. ამ გლეხებს შორის იყო გაბრიელიც, რომელსაც არა მარტო გალობა, არამედ ნოტების კითხვაც უსწა-ვლია.

ილიკომ და რამდენიმე კაცმა ისწავლა გალობა და ეკლესიაში მხოლოდ კაი დღეებში გალობდნენ. მათ გალობას ხალხი აღტაცებაში მოჰყავდა. პირველი მგალობლები იყვნენ: ილიკო გუჯაბიძე, ეტიფანე ბერძენიშვილი, არტემ გოგუაძე, ნიტიფორე შეწირული, ერმალო დარჩია, ანდრო გუჯაბიძე, ლუკა მჟავია, ივანე გიორგაძე, ვალოდი სარიშვილი.

1915 წლის 14 იანვარს ქ. ბათუმში ტარდებოდა დღესასწაული ნინაობა. ამ საღამოზე მიიწვიეს ვარლამ სიმონიშვილი თავისი გუნდით. სიმონიშვილის მიწვევით ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო ილიკო გუჯაბიძემაც. ასევე მონაწილეობას იღებდა სანდრო კავსაძე თავისი გუნდით. საღამომ დიდი წარმატებით ჩაიარა. ეს იყო ილიკოს პირველი გამოსვლა ასეთ დიდ საზოგადოებაში.

ილიკო გუჯაბიძემ კარგი მომღერლის სახელი გაითქვა. მაგრამ მას არ აკმაყოფილებდა საკუთარი სიმღერით გამოწვეული ბედნიერება . მისი ოცნება იყო მრავალკაციანი მომღერალ-მეჩონგურეთა ანსამბლის შექმნა.

1927 წლის ნოემბერში ილიკო თავის ბიძაშვილ აქვსენტი მეგრელიძესთან ერთად სუფსაში აყალიბებს მომღერალთა გუნდს სამოცი კაცის შემადგენლობით. გუნდი შედგებოდა მხოლოდ ადგილობრივი გლეხებისგან. ისინი ასრულებდნენ ყველა კუთხის ხალხურ სიმღერებს, განსაკუთრებით კი გურულს.

როდესაც ილიკო გუჯაბიძემ თავის ბიძაშვილ აქვსენტი მეგრელიძესთან ერთად გადაწყვიტა სუფსაში მომღერალთა გუნდის ჩამოყალიბება და სიმღერების ჩაწერა, აქვსენტიმ ილიკოს შესთავაზა პიანინოს ან ფიზჰარმონიის შოვნა. სუფსაში მაშინ არცერთი არ იყო . გაიგეს, რომ ოზურგეთის რაიონში, სოფელ თხინვალში ვიღაც მასწავლებელს ჰქონია ფიზჰარმონია, ის გარდაცვლილა და მისი ოჯახი ჰყიდდა ინსტრუმენტს. ნახეს ინსტრუმენტი და მორიგებულან 120 (ასოც) მანეთად. ილიკოს ფული არ ჰქონია, მაგრამ უკან არ დაუხევია. გაუყიდია ულლად ხარები ოთხმოც მანეთად, ორმოცი მანეთი უსესხებია და შეუძენია ფიზჰარმონია. ეს ინსტრუმენტი დღემდე მის ოჯახში ინახება.. გადაწყდა: გუნდის წევრებს, თუ ყველას არა, ნაწილს(ქალებს) მაინც, ჩონგურზეც დაეკრათ. შეიძინეს ჩონგურები, რომელზეც დაკვრის სწავლება აქვსენტიმ ილიკოს მიანდო, ანსამბლს კი თვითონ ხელმძღვანელობდა. ამ დიდებულ საქმეს მიმბაძველებიც გაუჩნდა, თანაც იმ ხანებში საქართველო მოიფინა მეჩონგურე - მეფანდურეთა კოლექტივებით.



ილიკო ჩიგოგიძე მეუღლესთან ერთად

1927 წელს პირველი კონცერტი გამართეს სუფსაში. კონცერტს დიდძალი ხალხი დასწრებია.

1929 წელს ანსამბლი წარსდგა თბილისში საქართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე. ანსამბლს საქართველოში პირველი მეჩონგურეთა ანსამბლი უწოდეს.

ილიკო გუჯაბიძეს საკუთარი მელოდიებიც ჰქონია. მაგ: ,, მეჩაიე ქალის სიმღერა''(ირ. აბაშიძის ტექსტზე), ,,სიმონა ძალაძის სიმღერა''(საკუთარ ლექსზე), ,,გოგია მეჩონგურე''(ა. წერეთლის ტექსტზე) და სხვ.

ლანჩხუთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდში დაცულია მისი მრავალმხრივი შემოქმედების ამსაველი მასალები: ლექსები, სცენარები, სადაც ყველა პერსონაჟის ასაკსა და ვინაობასთან ერთად მათი ცხოვრებისეული პროტოტიპების სახელებიცაა მინიშნებული.

1927 წლიდან მოყოლებული ილიკო გუჯაბიძე ერთგულად ემსახურებოდა ქართული ხალხური მუსიკის წარსულის საქმეს. იგი ხელმძღვანელობდა გუნდებს. მუდამ ჰყავდა მომღერალთა კოლექტივები და ყოველთვის წარმატებით მონაწილეობდა ხალხური თვითშემოქმედების რესპუბლიკურ თუ ადგილობრივ დათვალიერებებში. და რა დასანანია, რომ მისი გუნდის შესრულებით მხოლოდ ორი სიმღერა არის ჩაწერილი რადიოში, ფირზე. იგი ხან სუფსაში იყო, ხან თბილისში, მაგრამ სადაც არ უნდა ყოფილიყო, ყველგან ცდილობდა ესწავლებინა ახალგაზრდობისთვის მამაპაპისეული ხმატკბილ ჩონგურზე დაკვრა. ასევე დიდია ილიკოს გუჯაბიძის ღვაწლი ბათუმის მუსიკალური კულტურის განვითარების საქმეში. 1938 წელს მან აჭარის სახელმწიფო ანსამბლის გუნდი მოამზადა, ამავე დროს, ბათუმის რკინიგზის კლუბთან არსებული გუნდის ხელმძღვანელიც იყო. კონცერტებს მართავდა დასასვენებელ სახლებსა და სანატორიუმებში.

ილიკო გუჯაბიძეს, როგორც ქართული ხალხური სიმღერების მოჭირნახულეს, ხანდაზმულ ასაკშიც არ განელებია ლტოლვა ხელოვნებისადმი. ყოველთვის ცდილობდა დაეხვეწა და სიახლე შეეტანა თავის რეპერტუარში, გაემდიდრებინა ხალხური სიმღერებით.

ილიკო გუჯაბიძე გარდაიცვალა 1976 წელს, 88 წლის ასაკში.

**მანანა სიხარულიძე**.
ლანჩხუთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი

## გურულ მოჯირითეთა უცნობი დეტალები

# მარკოზ ჟღენტი



მარკოზ ჟღენტი, როგორც ქართველი წარმომავლობის ამერიკელი მკლევარი და მწერალი ბატონი რიჩარდ ალექსის ჯორჯიანის ჩანაწერებით ირკვევა, ჯირითობდა ბაფალო ბილის უაილდ ვესთის შოუში 1894-1895,..1900 წლების სეზონში. მარკოზ ჟღენტი 1869 წელს სოფელ ბასილეთში დაიბადა (მის შესახებ მასალები მოგვაწოდა მისმა შვილიშვილმა იაგორ კოპლატაძემ, სოფლის ჭეშმარიტმა მემატიანემ, 75 წლის; საუბარი ჩაწერილია 2001 წლის 17ოქტომბერს). მარკოზი შეძლებული გლეხი ყოფილა და ფლობდა რამდენიმე ჰექტარ მიწის ფართობს, თვითონ არ მუშაობდა მიწას სანარდოდ გასცემდა.

მარკოზი წლების მანძილზე მუშაობდა ბასილეთის საზოგადოების მამასახლისად. საზოგადოებაში შედიოდა სოფლები: (ბუკნარი, ქვენობანი, ბასილეთი, ხიდისთავი, ჭაჭი-თი, მეწიეთი, წიფნაგვარა,, ზენობანი და ახალშენი). ყავდა ერთი მწერალი-მდივანი, ერთი სტრაჟნიკი და ერთი გადასახადის ამკრეფი. ამავე დროს იყო თერძი, იცოდა კერვა, კერავდა მხოლოდ ჩერკესკას-ჩოხას თავისთვის და სხვისთვისაც,მაგრამ თუ ვინმეს კარგი ტანი არ ჰქონდა იმას არ შეუკერავდა, იტყოდა ჩოხას კარგი ტანი სჭირდებაო. კერავდა სახლში და ნაგომარში, იქ ჰყავდა ნათესავი.

მარკოზი ულამაზესი კაცი ყოფილა (*რასაც ადასტურებს მისი ფოტო* მ.ლ.) სოფლის ეკლესიაში, რომ გამოვიდოდა მისი სილამაზის გამო ქალები ცუდად ხდებოდნენო, გადმოქვცემს მისი შვილიშვილი. თავად ძალიან ზრდილობიანი კაცი ყოფილა, მაგრამ ქალების მოტრფიალე კი ძალიან. ამასთან ასეთი თვისებაც ჰქონია: თუ ქალთან ერთხელ ან ორხელ გაივლიდა მერე თავს დაანებებდა. ამის გამო ერთმ მასზედ შეყვარებულმა ჩოხატაურელმა - ქალმა გადაწყვიტა შური ეძია მასზე, ერთელ როცა მარკოზი ნაგომრიდან წამოვიდა ნაქეიფარი და გზად ამ ქალთან შეიარა ჩოხატაურში და ქალს ალერსი დაუწყო, ქალმა მალულად დანა ატაკა ფერდში,მაშინ მარკოზმა ქალს ხელი წაუჭირა ყელში და ახრჩობდა, ხმაურზე ქალის ოჯახში დამალული მედროგე სომეხი მოვარდა დასახმარებლად,მარკოზი ფანჯრიდან გადახტა,მაგრამ მედროგემ მოასწრო და დანა კისერში ჩაარტყა. რამდენიმე ხანში მარკოზი გარდაიცვალა ეს იყო 1907 წელს. მის დაკრძალვას დაესწრო გურიის საზოგადოება, მას დიდ პატივს სცემდნენ. დაკრძალულია ბასილეთის სასაფლაოზე ჭადრების ძირში.

მარკოზს ჰყავდა მეუღლე 6 შვილი.როგორ შეირთო ცოლი? ის ხომ ულამაზესი კაცი იყო და მისი შესადარი ქალი სად იქნებოდა შეირთო მისი ძმაკაცის ბიძაშვილი ჯაოზი კალანდაძე. შვილები:დარია გათხოვილი იყო ფილიპე ღლონტზე, აბიბო-უშანგი შევარდნაძის (მომღერა ლ ი ) ელენე-

▶▶▶ გვ-6

# კიდევ ორი მესტამბე-გამომცემელი და ჭოლა ლომთათიძის ორტომეული



1893 23 სექტემბერი.

ილია „თავმჯდომარეობს ქშწ-კგ საზოგადოების სხდომას, რომელზეც ... ფასდაკლებით იძენენ კონსტანტინე თავართქილაძისთვის გასაგზავნ სახელმძღვანელოებს ...“

გასაგზავნ სახელმძღვანელოებზე, სამწუხაროდ, მე ვერაფერს მოგახსენებთ, თუმცა, თავად კონსტანტინეზე რომ არ მეთქვა რამდენიმე სიტყვა ვერაფრით ვიზამ და პირდაპირ ბიოგრაფიით ვიწყებ.:

**კონსტანტინე თავართქილაძე**

სხვა სახელი: კოწია თავართქილაძე

დაბადების თარიღი: დეკემბერი, 1861 (161 წლის)

გარდაცვ. თარიღი: 193?

კატეგორია: მეწარმე, საზოგადო მოღვაწე

ბიოგრაფია

დაბადების ადგილი: სოფელი ბასილეთი, ჩოხატაურის რაიონი.

1885 წელს დაიწყო წიგნებით ვაჭრობა, 1886 წლიდან ეწეოდა ხალხოსნური (ნაროდნიკული) მოძრაობის პროპაგანდას, რის გამოც ქუთაისის გუბერნატორის განკარგულებით წიგნები წაართვეს, გაასამართლეს და წიგნებით ვაჭრობა აუკრძალეს. 1888 წელს გამოსცა თ. კიკვაძის „პატარა მოთხრობა“ და ვ. ჰიუგოს „ძმა-ძმის მტერი“ (ა. წითლიძის თარგმანი), 1889 წელს ოზურგეთში გახსნა წიგნის სავაჭრო, სტამბა და უფასო სამკითხველო; ამავე წელს არჩეულ იქნა ოზურგეთის ქალთა სკოლის მზრუნველად, ააშენა სკოლის შენობა და იქვე მოაწყო სცენა დეკორაციებით; შემდეგ დაიწყო ქართული წიგნების გამოცემა, დაბეჭდა „ჩანგი“, „ვეფხისტყაოსანი", „თამარიანი“, ეგნატე ნინოშვილის მოთხრობები; 1891 წლიდან უკვე დამოუკიდებლად მუშაობდა. 1892 წელს, სამეგრელოში, ვინმე აშორდიამ მთავრობის დავალებით, შექმნა მეგრული ანბანი, რათა მეგრელები ქართველებისაგან გაეთიშა, კონსტანტინე თავართქილაძემ ამ ამბის საწინააღმდეგოდ სენაკში გახსნა პირველი ქართული სტამბა, წიგნთსაცავ-სამკითხველო და წიგნთსავაჭრო (სტამბა "აუგსბურგის სწრაფმბეჭდავი მანქანით წიგნების დასაბეჭდად) სადაც დაიწყო ქართული წიგნის გამოცემა. საგანგებოდ დაქირავებული ხალხი სამეგრელოს სოფლებსა და დაბებში ავრცელებდა წიგნებს, რამაც დიდი სამსახური გაუწია სამეგრელოში ქართული ენის გავრცელებას და აშორდიას ჩანაფიქრის დამარცხებას. 1895 წელს სტამბა და წიგნთსავაჭრო განყოფილება გახსნა ბათუმში, მთელ აჭარაში ავრცელებდა წიგნებს. 1902 წელს არალეგალური ლიტერატურის გავრცელების გამო, მთავრობის მოთხოვნით ბათუმიდან სტამბა ტფილისში გადმოიტანა და საგამომცემლო საქმიანობა კიდევ უფრო გააძლიერა. შეადგინა და გამოსცა დიდი სახალხო და კედლის კალენდრები (1894-1919), ბეჭდავდა პოლიტიკური ხასიათის ლიტერატურასაც, რის გამოც ჩამოართვეს შრიფტები, გაასამართლეს და დააპატიმრეს (დაპატიმრებული იყო 40-ჯერ), მისი დაჟინებული მოთხოვნით გაიხსნა მეტეხის ციხის სტამბა-წიგნთსაკაზმავი, სადურგლო, საზეინკლო, სამკერვალო და სხვადასხვა სახელოსნოები, სადაც 600-მდე პატიმარი იყო დასაქმებული. კონსტანტინე თავართქილაძემ ციხეში სოლომონ ვადაჭკორიას დახმარებით, პატიმართა პირობების გაუმჯობესების მიზნით, გაფიცვა მოაწყო. მან ციხიდან გამოსვლისთანავე დაიწყო პოლიტიკური წიგნების გამოცემა „კულტურის“ და „მუშის“ ფირმით; დაბეჭდა ეგნატე ნინოშვილის სრული თხზულებანი, ნოე ჟორდანიას რჩეული ნაწერები, კ. კაუტსკის „ანტიკური ქვეყანა იუდეველთა და ქრისტიანეთა“, „ჩვენი დროის ეროვნება"“ ე. ერკმანის და ა. შატრიანის „გლეხი კაცის ისტორია“ და სხვ. 1891 წელს ოზურგეთში დააარსა მეეტლეთა ამხანაგობა, 1895 წელს შექმნა მეაბრეშუმეთა სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობა „შუამავალი"“ 1896 წელს, კონსტანტინე თავართქილაძის თანამშრომლობითა და შეწირულობით გურიაში, სოფელ აკეთში დაარსდა უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველო, ოზურგეთს შესწირა თავისი მდიდარი ბიბლიოთეკა, საქართველოში დაარსებულ თითქმის ყველა სამკითხველოს ეხმარებოდა წიგნებით, ასევე მოსწავლე-ახალგაზრდობას (მისი და ალ. მიქელაშვილის თაოსნობითგაიგზავნენ საძღვარგარეთ ძმები შალვა და კომანდო გოგელიები), 1906 წლიდან, თბილისში მისი რედაქტორობით გამოდიოდა სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „ლამპარი"“ 1906 წელს, თავისი ხარჯით, საკუთარ სტამბაში დაბეჭდა იოსებ ჯუღაშვილის (სტალინის) პარტიული მოხსენება, რომელიც წარდგენილი იყო სტოკჰოლმის პარტიულ ყრილობაზე. სომხურად დაბეჭდა „გლეხი კაცის ისტორია"“ ნოე რამიშვილის „ისტორიული მატერიალიზმი“ და სხვ. სომეხ კლერიკალთა“ დასმენით აუკრძალეს „არსენას ლექსის" ბეჭვდა,რის გამოც სათაური შეუცვალა და „არსენას ზღაპარი“ დაარქვა. 1900 წელს პირველმა მოინდომა საქართველოში ქაღალდის ქარხნის დაარსება, მაგრამ ვერ განახორციელა,1910 წელს კვლავ დაიწყო მოლაპარაკება,მაგრამ პირველმა მსოფლიო ომმა შეუშალა ხელი. 1925 წელს („თეატრი და ცხოვრება“ 7, გვ. 11-13) დაიბეჭდა კონსტანტინე თავართქილაძის წერილი „რითი დავაგვირგვინოთ ქართული სტამბის 300 წლისთავი“. გავმართოთ ბეჭდითი საქმის პირველი გამოფენა, დავაარსოთ ამ დღესასწაულის საზეიმოთ ქაღალდის ქარხანა და ამითი დავაგვირგვინოთ ის დიდი საქმე-გონების ლამპრის წყარო-რომელსაც მწიგნობრობა ეწოდება". გამომცემელი, მესტამბე, მწიგნობარი, ქველმოქმედი.“.

ბიოგრაფია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის „ბიოგრაფიული ლექსიკონიდან“ ავიღე, პირველწყაროც ეროვნული ბიბლიოთეკის საკუთრებაა („ ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონი, 1801-1952: ტ. II ე-ლ / იოსებ იმედაშვილი.-თბ.,2021.-გვ.239“) ჩემი კოლეგების მრავალწლიანი შრომის მეტად შრომატევადი სასარგებლო ნაშრომი.

დროა, „თეატრი და ცხოვრების“ ბიოგრაფიაში მითითებულ ნომერს მივაკითხოთ და ხსენებული წერილი სათანადოდ გავაციფრულოდ, დარწმუნებული ვარ გაზეთ „ალიონის“ მკითხველს, განსაკუთრებით კონსტანტინე თავართქილაძის ნათესავებს ძალიან ვასიამოვნებ.

მანამდე თავად ჟურნალის ამ ნომერზე მინდა ვთქვა რამდენიმე სიტყვა.

ყოველკვირეული სურათებიანი ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ მე-7 ნომერი 1925 წლის 29 მარტს გამოვიდა და გარეკანს ნინო ჩხეიძესთან ერთად, ჭოლა ლომთათიძის სურათიც, მართლაც რომ ამშვენებს.

გარეკნის მეორე გვერდზე **სილ. თავართქილაძის** წერილია „ჭოლა ლომთათიძე (მისი ნაწერების გამოცემის გამო)“.

ბუნებრივია, ოზურგეთში, ჭოლა ლომთათიძის ქუჩაზე მცხოვრები გიო კილაძე ისე როგორ იზამს ეს წერილიც სათანადოდ არ გააციფრულოს?! ასეც იზამს, თუმცა ჯერ სილ. თავართქილაძეც მინდა გავახსენ/გავაცნო დაინტერესებულ მკითხველს.

სიმართლე გითხრათ, მთლად დაარწმუნებული არ ვარ, მაგრამ სილ. თავართქილაძე, სილიბისტრო სილიბისტრო რომანოზის ძე თავართქილაძეა (1880-1936 წ. დახვრიტეს) ასოთამწყობი, მწერალი, მთარგმნელი. სწორედ ბატონი სილიბისტრო გახლდათ ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორია : წიგნი პირველი“ გამომცემელი. მისივე თარგმნილია რ. თაგორის „მემკვიდრეობის დარაჯი : [ესკიზი] / რ. თაგორი ; [თარგმანი და წინასიტყვაობა სილ. თავართქილაძის].

სილიბისტრო თავართქილაძის ბიოგრაფიის სხვა მნიშვნელოვან ამბებზ,ე მეტს აღარ შევჩერდები, რიგითობას დავიცავ და ჯერ სილიბისტრო თავართქილაძის წერილს შემოგთავაზებთ და შემდეგ კონსტანტინე თავართქილაძისა.

„ჭოლა ლომთათიძე (მისი ნაწერების გამოცემის გამო).

ვის ძალუძს იმის აღწერა, თუ ძველმა რეჟიმმა ამ დაუდეგარ, ფიზიკურად სუსტს, მაგრამ სულიერად რკინის ადამიანს, ადამიანური უფლების მოპოებისა და უსამართლობისათვის უაღრესად მებრძოლს, რამდენი ტანჯვა-წამება მიაყენეს, როგორ ძალად ამოგლიჯეს მეტად ლამაზი და ხალხისათვის საყვარელი სული.

ჭოლას ხომ ბავშვობიდანვე არ სწყალობდა ბედი, მისთვის ცხოვრება თავიდანვე გერი იყო. დედის ტკბილი ალერსიც არ ღირსებია უკიდურეს სიღატაკეში ამოიზარდა, მაგრამ მე ხომ ამ პაწია წერილში მისი ბიოგრაფიის წერას არ შეუდგები, მე მინდა მხოლოდ ოდნავ გავუზიარო მკითხველს ის ტანჯვა, რომელსაც იტანდა. ჭოლა ნესტიან ციხის კედლებში დატყვევებული ჩიტივით ეხეთქებოდა რკინის ფანჯრებს. მისი სიყვარულით აღსავსე ზღვა გული ვერ ეტეოდა ამ ვიწრო და ბნელ კედლებში და რადგანაც განთავისუფლების იმედი აღარ იყო, ნატრობდა მეტეხის ციხეს, აქაურ მზეს და აქაურ ჰაერს.

მისმა სუსტმა აგებულებამ რუსეთის სუსხი ვერ აიტანა და პირიდან სისხლის დენა აუვარდა. აკ. ჩხენკელის დახმარებით (რომელიც სათათბიროში დეპუტატათ იყო), როგორც იყო ავადმყოფი ჭოლა ბათომის ციხეში გადმოიყვანეს, აქედან კი მეტეხში.

არასოდეს არ დამავიწყდება მისი მეტეხში ჩემდამი შეხვედრა, სანახავად მივედი. გამოუძახეს პირად ნახვაზე (შედარებით პატივისცემით ეპყრობოდნენ როგორც ყოფილ დეპუტატს). დამინახა თუ არა, შორიდანვე გაშალა ორივე ხელი და სიხარულით აღტაცებულმა ისე ჩამიკრა გულში, როგორც უზომოდ მოსიყვარულე დიდი ხნის უნახავი მამა ჩაიკრავს საყვარელ შვილს. დიახ, ჭოლას გული უზომო სიყვარულით იყო სავსე. მას უყვარდა თავისი ამხანაგები, თავის მზიანი ქვეყანა, ერი და სამშობლო, მაგრამ ჯალათებმა იმისი ნებაც კი არ მისცეს, რომ აქ, თავის სამშობლოში, დაელია განაწამები სული და კვლავ რუსეთის ციხეში გაისტუმრეს მეტად ავადმყოფი ჭოლა.

მიუხედავად ასეთი სისუსტისა და რეჟიმისა, ის მაინც არ ისვენებდა და სწერდა თავის უკვდავ მხატვრულ მოთხრობებს. სწერდა და თან სამშვიდობოს ისტუმრებდა. ჩქარობდა სიკვდილამდე ამოწურა თავისი ნიჭი, რადგანაც აშკარად ხედავდა სიკვდილი უახლოვდებოდა თავისი ულმობელი ცელით.

მიუხედავად სიფრთხილისა, მისი ნაწარმოების ნაწილი მაინც უვარდებოდა ჯალათებს ხელში და ცეცხლში იფერფლებოდა, ასე დაუწვეს, მაგალითად, ჰეინეს საუკეთესო ლექსები, რაც ხელმეორედ გადათარგმნა და გამოგზავნა, რომელიც გამოსცა ბართლომე კილაძემ და იმავე წელში გაიყიდა ყველა.

ჭოლა ციხიდანვე ხელმძღვანელობდა მისი მოთხრობების ერთად შეგროვებას და ნატრობდა მის ერთად გამოცემას, მაგრამ ამაოდ.

*„მე აღარ მეღირსება აქედან ცოცხალი გამოვიდე: დღეს ბევრი სისხლი დავაქციე ხელები მიკანკალებს, ძლივს ვსწერ, ცხადია სიკვდილი შორს აღარ არის, მაგრამ მე მისი აღარ მეშინია. გადაწერილი მოთხრობა მივიღე. არ მადლობელი ვარ, ჩემო სილია, რომ თხოვნა შემისრულე. ეხლა დამშვიდებული ვარ. თითქმის ყველა მოთხრობებს მოუყარე თავი. ვინ იცის იქნება, როდისმე ეღირსოს გამოცემა და კარგია ერთად რომ იქნება“* მწერდა ის თავის უკანასკნელ წერილში. ასტრახანიდან. მერე ვისთვის სწერდა და ვისთვის აგროვებდა მომაკვდავი ჭოლა თავის უკვდავ მოთხრობებს თუ არა ჩვენთვის?

მისი სიკვდილის შემდეგ, რამდენი წელი გავიდა და ჩვენ,არ იქნა და არა,ვერ შევსძელით დღემდე მისი იშვი ათი, მხატვრული ნაწარმოების გამოცემა.

მის ნაწერებს ბევრი არ იცნობს. ეს ნიჭიერი მწერალი ლამის სრულიად დავიწყებას მიეცეს, რაც არ გვეპატიება ქართველ ხალხს, რაც დიდი დანაშაულობაა, სხვა, შეგნებული ერი იამაყებდა ასეთი ნიჭიერი მწერლით.

ჭოლა სანთელივით დადნა ჩვენთვის, დაიფერფლა. ჩვენ კი, დაგვიანებით მაინც, სამაგიერო იმით გადაუხადოთ, რომ მისი ნაწერები გამოვცეთ და წავკითხოთ!..

მართალია, მისი დასაფლავებისთანავე შეუდგა ფულის შეგროვებას, როგორც ვიცი, კიდევ შეგროვდა ოთხას. მანეთამდე, მაგრამ, რამდენათაც მახსოვს, ის ფული გაზეთისათვის სტამბის შეძენას მოხმარდა. ყველას კარგად გვახსოვს, თუ რა ძნელი იყო ძველი რეჟიმის დროს მუშათა გაზეთების გამოცემა, როგორ აჭრე-ლებული გამოდიოდა გაზეთები. მაგრამ დრომ და ვითარებამ ეს „დროებით“ სამუდამოთ გადააქცია და სიცოცხლეში უიღბლო ჭოლას აქაც უმუხთლა ბედმა

თუ გინდა დარწმუნდე მისი ნაწერების სიძლიერეში, თითონ უნდა წაიკითხო, ის ხელით საგოგმანებელი მარგალიტებია, განსაკუთრებული სტილით და მანერებით დაწერილი.

და ამ ნაწერების გამოცემა გადავსწყვიტე მისმა ბავშვობიდან მეგობარმა, რათაც უნდა დამიჯდეს, მაგრამ მე მარტო ამ სიძვირის დროს ვერაფერს ვერ გავხდები,თუ თქვენი თანაგრძნობა და დახმარება არ იქნება, ჩემო ძვირფასო მკითხველო.

დიახ, მე თქვენი იმედით მოვკიდე ამ დიდ საქმეს ხელი. სრული იმედი მაქვს ყველა ოდნავ შეგნებული ქართველი გამიწევს დახმარებას იმ ფრიად კულტურულ და სასარგებლო საქმეზე. მომაწვდის თითო მანეთს თვეში კოლექტიურად შეგროვილს, ან საქართველოს ყველა კუთხეში ადგილობრივად გადასცემენ განცხადებაში აღნიშნულ აგენტებს.

საჭიროა, რაც შეიძლება, საჩქაროდ შეგროვდეს (ცნობები, თუ რამდენი ცალია საჭირო დაახლოვებით მაინც), რომ ამის თანახმად შევუდგეთ ბეჭდვას ორივე ტომი ჭოლას სურათით და ფაქსიმილეთი უნდა გამოვიდეს აუცილებლად ივნისის შუა რიცხვებში.

„ჩვენ, ჭოლას ნაწერებიდან ჰონორარს არ ავიღებთ. ჩემი და ჭოლიკოს სურვილი არის, რაც კი ერგება. მოხმარდეს კულტურულ საქმეს ჭოლას სოფელში ხიდისთავში. იქ გაიხსნას კარგი სამკითხველო, ჭოლას სახელი“, მწერენ მოსკოვიდან. მისი ყოფილი ცოლი და შვილი ჭოლიკო

ვიმეორებ ვისაც კი უყვარდა ჭოლა, პატივს სცემს მის ხსოვნას და აფასებს მის იშვიათ მხატვრულ ნაწირებს, მიუხედავათ ფულის კრიზისისა და სიღარიბის, და უზარებლად გადასდებს თვეში ერთ მანეთს და საჩქაროდ მომაწოდებს კოლექტიურად შეკრებილს, რათა მეც დროიანად შევუდგე ამ დიდ საქმეს და პირნათლად შევასრულო ის“.

მართლაც შესრულდა!

სწორედ 1925 წელში გამოვიდა ჭოლა ლომთათიძის ორტომეული:

ტ. 1 / [წინასიტყვაობის ავტ.: სოლომონ თავაძე]. (ს.ს.მ.უ.ს. პოლიგრაფტრესტის მე-2 სტამბა). XXXII, 295, [1] გვ. : სურ.. 2 მან. 50 კაპ., 4000 ც.[ : 49093]

მოთხრობები. ტფილისი : ს.ს.ს.რ. სახელმწიფო გამომცემლობა, 1925. 24 სმ.[ : 49092]



## რით უნდა დავაგვირგვინოთ ქართული სტამბის 300 წ. თავი?

(ქართველი ერის საყურადღებოთ).

XIX და XX საუკუნეთა გამოგონებებს (მეცნიერებასა და ტეხნიკაში) მთელი კაცობრიობა განცვიფრებაში მოჰყავს, მაგრამ ვერც ერთი გამოგონება ვერ შეედრება ჰუტენბერგის მიერ 450 წ. წინად გამოგონილ ბეჭდვითი საქმეს. (შემდეგ ეს გამოგონება 2000 [illegible] გაუმჯობესდა).

ერთი ჰენიოსი ამბობს: „ერის სიმდიდრე, მისი ავლა-დიდება ლიტერატურააო“. მართლაც, რა სიმდიდრე შეედრება ლიტერატურას? მასთან შედარებით ყოველივე არარაა!

აბა მითხარით, რა იქნებოდა ბეჭდვითი სიტყვის გარეშე ადამიანის ცხოვრება?—რით შეიძლებოდა ასე

ტ. 2 / [წინასიტყვაობის ავტ.: ს. დევდარიანი]. 1925 (ს.ს.მ.უ.ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა). XXIII, 309, [1] გვ.. 2 მან. 50 კაპ., 4000 ც.[ : 49094]

სწორედ,ამ ტომეულებმა გააერთიანეს ჭოლა ლომთათიძის მოთხრობები: დავითი; ცხოვრების გულიდან; შეყვარებული; მატლი; ტალღები; დასაფლავება; ერთი საღამო ბატონ ადვოკატთან; ზღვა; აღსარება; ნაზარეველი აღსდგა; კვლავ ფიქრი, ფიქრი; სიცრუე; სახრჩობელას წინაშე; საპყრობილეში; უსათაურო; ჩემი დღიური; პირველი მაისი და სხვ.

მგონი, რაც ამ ჯერზე აქ უნდა მეთქვა, უკვე ვთქვი, ამიტომ, ვფიქრობ, კონსტანტინე თავართქილაძის წერილი „რითი დავაგვირგვინოთ ქართული სტამბის 300 წლისთავის" გაზეთ „ალიონის“ მკითხველთათვის მიწოდების დროა, თუმცა, ვერაფრით ვიზამ, ჭოლა ლომთათიძის „უბის წიგნაკში“ არ ჩავახედო გაზეთ „ალიონის“ მკითხველი.

**„უბის წიგნიდან**

*„ივი მზე ქაჯთა მეფესა ჰყავს, ქაჯეთს პატიმარია;*

*მუნ მისვლა მიჩანს თამაშად, თუმცა გზა საომარია“.*

შოთა რუსთაველი

*მე არ ვიცი, ცხადი იყო თუ სიზმარი ეს სურათი. შეიძლება სიზმარიც იყო და შეიძლება არ ყოფილა სიზმარი. მე არ ვიცი, როდის ვნახე ის ვაჟი. შეიძლება დედაჩემმა მიამბო, ან ვინმემ ისეთმა, რომელსაც მე ისე ვუყვარდი, როგორც დედაჩემს. მე არ ვიცი, შეიძლება მაშინ მომელანდა ის, როცა მე "სურამის ციხე" წავიკითხე. ეს იყო ბავშვობისას, ერთი დიდი მუხის ძირში. სკოლიდან წამოვიღე ის წიგნი და გზაში წავიკითხე. შემოდგომა იყო და მახსოვს, თითქოს ეხლაც ვყნოსავ მწიფე ხეხილების სუნს.*

*შეიძლება მაშინ მომელანდა ის სურათი, ან და შეიძლება მაშინ, როცა ერთი ქართველი ინტელიგენტის ოჯახში ილია ჭავჭავაძის პირველი ტომი გაუჭრელი ვნახე. ერთი სიტყვით, მე არ ვიცი, არ მახსოვს, როდის და რა მდგომარეობაში დავინახე პირველად ის სურათი მე, ეს კია, რომ არაოდეს, არაოდეს ის მე არ დამავიწყდება და მგონია, რაც თავი მახსოვს, მას შემდეგ ვხედავ იმას. და საკმაოა გამახსენდეს ის, რომ გული სიხარულით, სიამყით, სიცოცხლითა და დაუსრულებელი ბრძოლის სურვილით მევსება.*

*მე მაშინ ბედნიერი ვარ, რაგინდ უბედური, რაგინდ ცუდ მდგომარეობაში ვიყო“.*

არადა რამდენჯერ იყო!!!

იყო, იყო და ის მაინც წერდა...

**გიო კილაძე**

## გურულ მოჯირითეთა უცნობი დეტალები

# მარკოზ ჟღენტი

მესამე შვილი გავდა მამას ულამაზესი იყო (იაგორ კოპლატაძის დედა). ამბაკო თერძი იყო, ჰქონდა ატელიე თბილისში, ჰყავდა შეგირდები,ლიუდმილა და ანაქა ამჟამად თბილისში ცხოვრობენ მარკოზის შთამომავლები მაია და გია ჟღენტები (ესენი არიან ამბერკის შვილიშვილები).

ბატონ იაგორის მეხსიერებას შემორჩა მოგონებები ბაბუაზე:

როცა მარკოზი მამასახლისად მუშაობდა, მასთან მივიდა ორი მეზობელი,რომლებიც დაობდნენ მიწის ფართობის გამო, რადგან საზღვარი ისე ჰქონდათ შემოფარგლული, რომ ურემი თუ გაივლიდა გზაზე და კაციც ერთდროულად, კაცი ღობეს უნდა გაკვროდა. მარკოზმა უსმინა მოდავეებს და მერე უთხრა: წადით სახლში მოიტანეთ წალდი და ბარი, როცა მოიტანეს ორივე მხარეს თითო-თითო მეტრი მიწა ჩამოაჭრა,მისი სიტყვა კანონი იყო.

როგორ ვარჯიშობდა: მიწაზე დაყრიდა მონეტებს და გაჭენებული ცხენიდან კრეფდა, ვარჯიშობის დროს უნაგირს ორჯერ გამოუცვლიდა ცხენს,.

ერთხელ თავად კაპიტო ასათიანს (რომელსაც ჰყავდა ელიზავეტოპოლიდან ჩამიყვანილი ცხენი ლაფშა-150 ოქროს თუმნად შეძენილი, ეს ცხენი არავის არ იჯენდა გარდა თავისი პატრონისა), მარკოზმა სთხოვა დამაჯინეო, კაპიტომ უარი უთხრა, მეშინია რამე ცუდი არ შეგემთხვასო,მაგრამ უარი არ გაუვიდა. მარკოზმა სთხოვა კაპიტოს ცხენთან ახლოს მომყევიო. შეჯდა, ამოსდო ლაგამი და ცხენი და მხედარი გაქრა, ეს მოხდა სოფელ ხიდისთავში დუქნებთან, ჭენებით ავიდა მარკოზი ბასილეთში, როცა უკან ბრუნდებოდა მარკოზმა ლაგამი ოდნავ მოუშვა. ცხენმა თავისუფლება იგრძნო თუ არა უაზროდ გაფრინდა ხიდისთავისაკენ,მისი დაკავება ახლა შეუძლებელი იყო. ცხენს პატრონი ხიდისთავში ელოდებოდა, როდესაც ცხენი მივარდა მაღაზიებთან, მარკოზმა მოახერხა მაღაზიის სახურავზე შეხტომა, ცხენი შეასკდა კედელს, სხვა შემთხვევაში მარკოზი შუაში გაიჭრებოდა, მარკოზი გადარჩა და ცხენიც, ამის შემდეგ ორი დღე იქეიფეს.

ახლა რამდენიმე სიტყვით მინდა გადმოგცეთ ბუფალო ბილის შოუს შესახებ როგორც ეს აღწერილი აქვს ბატონ რიჩარ ჯორჯიანს თავის წიგნში.....“1894 წლის სეზონი (ამ სეზონის ერთ-ერთი მონაწილე მარკოზ ჟღენტიც იყო) ,,,ჩამონათვალია სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული მოჯირითეები მათ შორის-10 კაზაკი კავკასიიდან, რომელსაც ლუკა ჩხარტიშვილი ახლდა, კაზაკებს ეცვათ ჩოხა,მათი ტრადიციული ტანსაცმელი. ალბერტ შიბლი, რომელიც ბუფალო ბილის ევროპული აგენტი იყო მათ შეხვდა, ის შეხვდა ტომ ოლივერს, რომელიც ქართველ მოჯირითეებთან ერთად ჩამოვიდა, ალბერტი, ცოტა არ იყოს გაკვირვებულოი დარჩა ,რომ ივანე მახარაძე არ ჩამოვიდა ამ წელიწადს და ლუკა ჩხარტიშვილი უძღვებოდა მოჯირითეებს, ლუკა ჩხარტიშვილი, რომელიც ლანჩხუთელი იყო, ჯირითობდა ივანე მახარაძესთან ერთად.ბუფალო ბილის შოუმ ,რომელიც ექვსი წელია ნიუ იორკის არენაზე არ გამოსულა. მთელი სეზონი აქ გაატარა. 161 ევროპელი მსახიობი და ქართველი მოჯირითეები გაოცდნენ აშენებული არენით, არენა 312 ფუტის სიგრძის და 455 წლის სიგანის იყო ეს იყო თეთრი კარავი. მთელს შოუში 758 კაცი იყო, ისინი მიწაზე დაფენილ 140 კარავში ცხოვრობდნენ, ისინი ჯგუფებად იყვნენ განლაგებული. დღის დასვენების შემდეგ რეპეტიციებს გადიოდნენ. არენის ყველა გუნდმა იცოდა თავისი რიგი შოუში შესასვლალად.ქართველებს ცხენების გაწრთვნის პრობლემა ჰქონდათ.

ბუფალო ბილის შოუს ძირითადი გუნდი იყო: ინდიელები, ქავბოები და კაზაკები.

შოუს გახსნის დღე იყო 12 მაისი (1894წ.), 3:00 ,მშვენიერი დღე, შოუს სტილი დიდად არ შეცვლილა, იხსნებოდა მოჯირითეთა შემოსვლით, სროლებით და ა.შ. შემდეგ ცხენების შეჯიბრი კაზაკებს, მექსიკელებს, ინდიელებს, და კოვბოებს შორის...ქართველი მოჯირითეები დიდ ქებას იმსახურებბდნენ პრესის ფურცლებზე, ნიუ იორკის დეილი ტრიბუნი,კვირას,22 ივლისს, 1894 წლის დიდ წერილში წერდა:“დღე უაილდ უესთთან ერთად“, კაზაკების ჯირითი სუნთქვის წამღებია, როგორ დგანან ცხენის ზურგზე, როგორ აჭენებენ, როგოგორ მოძრაობენ ცხენზე, ძირს ისვრიან იღებენ საგანს და აბრუნებენ უნაგირზე... ყოველი წლის სეზონის ბოლო დღეს ინდიელები და კაზაკები( გურულები) ალაგებენ ბარგს და სხვადასხვა ენაზე ემშვიდობებიან ერთმანეთს. წარმოდგენა დიდი ენთუაზმით მიმდინარეობდა და დიდი აპლოდისმენტებიც დაიმსახურეს მოჯირითეებმა,...ბუფალო ბილმა გაართო 1,5 მილიონზე მეტი ადამიანი მთელი სეზონის განმავლობაში სულ 126 შოუ აჩვენეს“.

**.მანანა ლომაძე**

ოზურგეთის სამუზეუმო გაერთიანების ფონდების მცველი.

## უფასო ტაქსი ოზურგეთში




ცნობილი მსახიობი, მწერალი, საქართველოს მწრალთა კავშირის წევრი **ჯემალ კეჭაყმაძე** უკვე წლებია უფასოდ ემსახურება ტაქსით მოქალაქეებს დიდ რელიგიურ დღესასწაულებზე (აღდგომა, შობა) და წმინდა კვირიკესა და ივლიტას ხსენების დღეს –28 ივლისს.

ჯემალ კეჭაყმაძეს დილიდან, უფასოდ გადაჰყავდა მრევლი ქ. ოზურგეთიდან კვირიკეთის წმინდა ივლიტასა და კვირიკეს სახელობის ტაძარში.

მოქალაქეები მას უკავშირდებოდნენ ტელეფონით და ან სოციალური ქსელით.

მადლიანი კაცი ამ დღეს რამდენიმე ათეულ ადამიანს მოემსახურა უფასოდ.

# C ჰეპატიტთან ბრძოლის მსოფლიო დღე აღინიშნა

### ზოგადი მიმოხილვა

C ჰეპატიტი არის ღვიძლის დაავადება, რომელიც გავრცელებულია მთელ მსოფლიოში. ინფიცირებულთა დაახლოებით ერთი მესამედი ყოველგვარი მკურნალობის გარეშე თავისუფლდება ვირუსისგან მისი ორგანიზმში შეჭრიდან 6 თვეში, დანაჩენს კი უვითარდება ქრონიკული ინფექცია, რომელიც ხშირად ღვიძლის ციროზისა და ღვიძლის კიბოს განვითარების მიზეზია.

საქართველოში 2015 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, მოსახლეობის 5.4%-ს, ანუ დაახლოებით 150 ათას ადამიანს აღენიშნება ქრონიკული C ჰეპატიტი.

გამომწვევი აგენტი არის C ჰეპატიტის ვირუსი, რომელიც აზიანებს ღვიძლს და შეიძლება გამოიწვიოს როგორც მწვავე, ისე ქრონიკული დაავადება.

### მაღალი რისკის ჯგუფები

C ჰეპატიტის ვირუსით ინფიცირების მაღალ რისკ-ჯგუფს მიეკუთვნებიან:

- *ნარკოტიკების ინექციურად მომხმარებლები;*
- *ადამიანები, რომელთაც გადაესხათ სისხლი ან სისხლის პროდუქტები, ან ჩაუტარდათ სამედიცინო მომსახურება იმ დაწესებულებებში, სადაც ინფექციის კონტროლის პრაქტიკა არასათანადოდ არის დანერგილი;*
- *ბავშვები, რომლებიც დაიბადნენ C ჰეპატიტის ვირუსით ინფიცი-რ-ებული დედისაგან;*
- *პირები, რომელთაც ჰყავთ მრავლობითი სქესობრივი პარტნიორი;*
- *ვირუსული C ჰეპატიტით ინფიცირებულთა სქესობრივი პარტნიორი;*
- *აივ/შიდსით ინფიცირებულები;*
- *ყოფილი ან ამჟამინდელი პატიმრები;*
- *ადამიანები, რომელთაც აქვთ ტატუ ან პირსინგი.*

ინფექციის მტარებელი და გავრცელების წყარო არის C ჰეპატიტით ინფიცირებული ადამიანი.

### გადაცემის გზები

C ჰეპატიტის ვირუსის გადაცემა ხდება სისხლის გზით. ვირუსი ყველაზე ხშირად გადაეცემა:

- *ინექციური ნარკოტიკების საერთო შპრიცითა და ამ მიზნით გამოყენებული სხვა საერთო ატრიბუტების მოხმარებისას;*
- *სამედიცინო დაწესებუ-ლებებში არასტერილური სამედიცინო იარაღების გამოყენების დროს;*
- *შეუმოწმებელი სისხლისა და სისხლის პროდუქტების გადასხმის დროს.*

ვირუსის გავრცელება ასევე შესაძლებელია ინფიცირებულ ადამიანთან სქესობრივი კონტაქტის დროს და ინფიცირებული დედიდან ბავშვზე, თუმცა, გადაცემის ეს გზები იშვიათია. C ჰეპატიტის ვირუსი არ გადაეცემა: ძუძუთი კვებით, კოცნით, ხელის ჩამორთმევით, ჩახუტებით, ინფიცირებულთან საკვების ან სასმელის გაზიარებით.

### ინკუბაციური პერიოდი

C ჰეპატიტის ინკუბაციური პერიოდი გრძელდება 2 კვირიდან 6 თვემდე. ადამიანთა 80%-ს არ უვლინდება სიმპტომები. დაავადების მწვავე ფორმა კლინიკურად გამოვლინდება შემდეგი ნიშნებით: ტემპერატურის მომატება, სისუსტე, უმადობა, გულისრევა, ღებინება, ტკივილი მუცლის არეში, მუქი ფერის შარდი, მონაცრისფრო განავალი, სახსრების ტკივილი, სიყვითლე (კანისა და თვალის სკლერების გაყვითლება).

### ვირუსის გამძლეობა

ვირუსმა ორგანიზმის გარეთ, ოთახის ტემპერატურაზე და საგნების ზედაპირებზე შეიძლება 3 კვირამდე გაძლოს.

### მიმღებლობა

ვირუსული C ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინა არ არსებობს, ამიტომ ეს ინფექცია შეიძლება დაემართოს ნებისმიერ ადამიანს. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე მედიკამენტებით შესაძლებელია დაავადებისგან სრული განკურნება, თუმცა განკურნების შემდგომ ადამიანს არ რჩება მყარი იმუნიტეტი და შეიძლება ისევ დაინფიცირდეს, ამიტომ, უსაფრთხოების ზომების დაცვა კვლავ საჭიროა.

### კონტროლის ღონისძიებები:

პრევენციული ღონისძიებები (წინასწარ რა უნდა გაკეთდეს)

ვირუსული C ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინა არ არსებობს, ამიტომ მისი პრევენცია დამოკიდებულია ვირუსის გადაცემის რისკის შემცირებაზე სამედიცინო დაწესებულებებში და მაღალი რისკის მქონე ჯგუფებში, მაგალითად ნარკოტიკების ინექციურად მომხმარებელ პირთა შორის, დაუცველი სქესობრივი კავშირის შემთხვევაში და სხვა. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია რეკომენდაციას უწევს შემდეგ ღონისძიებებს:

- *ხელების ჰიგიენა - ქირურგიული დამუშავება, სწორად დაბანა, ხელთათმანების გამოყენება;*
- *სამედიცინო ნარჩენებისა და მჭრელი საგნების უსაფრთხო გაუვნებელყოფა;*
- *ზიანის შემცირების სრულფასოვანი სერვისის მიწოდება ნარკოტიკების ინექციურად მომხმარებელთათვის (შპრიცისა და სხვა საინექციო მასალების გაზიარების თავიდან აცილება);*
- *დონორული სისხლის ტესტირება;*
- *კონდომის სწორად გამოყენების ხელშეწყობა.*

პაციენტის და კონტაქტების კონტროლი (ვის უნდა გადაეცეს შეტყობინება)

ადრეულ ეტაპზე დიაგნოსტირებით შესაძლებელია ჯანმრთელობის იმ სერიოზული პრობლემების თავიდან აცილება, რომლებიც აღმოცენდებიან ინფექციის მიმდინარეობის დროს და ასევე, ვირუსის გავრცელების პრევენცია, ამიტომ, სასურველია, ყველა ადამიანმა ერთხელ მაინც, ხოლო სარისკო ქცევის შემთხვევაში - განმეორებითად, ჩაიტაროს სკრინინგი და ტესტირებაზე დადებითი შედეგის შემთხვევაში მიაკითხოს სპეციალიზებულ კლინიკას შემდგომი გამოკვლევებისა და მკურნალობისთვის.

საქართველოში მიმდინარე C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ფარგლებში დაავადებაზე პირველადი ტესტირება და მკურნალობა უფასოა.

**არჩილ მჟავია**

სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გურიის განყოფილების უფროსი




გაზეთ „ალიონის“ რედაქცია თანაუგრძნობს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი კუჭავას მამის, **ბიჭიკო კუჭავას** გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია იუწყება ოზურგეთის „მერცხალის“ ყოფილი მთავარი მწვრთნელის, ოზურგეთში ბავშვთა ფეხბურთის განვითარების საქმეში ერთ-ერთ ამაგდარის **მერაბ ვანიძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

# ილია ჭავჭავაძის მკვლელობა




ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ: ვერსია ილია ჭავჭავაძის ძარცვის მიზნით მკვლელობის თაობაზე სრულიად უსაფუძვლოა.

**მეორე ვერსია — მკვლელობა აგრარულ ნიადაგზე.** ეს ვერსია იმავე პოლიტიკურმა ძალამ შეთხზა, რომელმაც შეთხზა ვერსია ძარცვის მიზნით მკვლელობის თაობაზე. მიზანიც იგივე იყო: ხელისუფლების, საზოგადოებისა და გამოძიების შეცდომაში შეყვანა.

გლეხების მიერ მემამულეების მკვლელობებმა და მათი მამულების დარბევებმა მასობრივი ხასიათი შეიძინა 1905 წლის გაზაფხულიდან და გრძელდებოდა მთელი ზაფხულისა და შემოდგომის განმავლობაში. მალე გლეხთა „წითელი რაზმების" თარეშს მემამულეებმა „შავი რაზმების" შექმნით უპასუხეს. ბევრმა მემამულემ ჩრდილო კავკასიელი მთიელები დაიქირავა და ტერორისტთა თვითნებობა ალაგმა. ხელისუფლებაც სათანადოდ დაეხმარა მემამულეებს. ბევრ სოფელში პოლიცია და ჯარიც კი ჩააყენეს. პოლიცია იცავდა საგურამოში ილია ჭავჭავაძისა და სხვა მემამულეების სახლებს. 1905-1906 წლებში ხელისუფლებამ დამსჯელი ექსპედიციები აამოქმედა. სამხედრო ტრიბუნალებმა მემამულეთა მკვლელობის მონაწილე ბევრ გლეხს სიკვდილი მიუსაჯა, გლეხების ნაწილი ციხეებში გამოკეტეს და შემდეგ ციმბირში გადაასახლეს. 1906 წლის მიწურულისათვის ხელისუფლებამ თითქმის სრულიად აღადგინა კონტროლი სასოფლო რაიონებზე, ამოქმედდა სოფლის ადმინისტრაცია. მემამულეთა დახოცვაში ბრალდებული გლეხები, რომლებიც ხელისუფლების მსჯავრს გადაურჩნენ, სოფლებიდან გაიქცნენ (მათმა ნაწილმა თავი ირანს შეაფარა). 1907 წელს, მით უფრო, წლის მეორე ნახევარში, აგრარულ ნიადაგზე მემამულის მკვლელობები ძალზე იშვიათი იყო. 1907 წლისათვის ილიამაც გლეხებთან ძველი, ტრადიციული ურთიერთობა აღადგინა და მათ შორის ურთიერთობა აღარ დაძაბულა, რადგან ამის მიზეზი აღარ არსებობდა. მუქარის წერილები, რომლებსაც ილია თითქოსდა გლეხებისაგან იღებდა, სინამდვილეში გლეხებს არ ეკუთვნოდა და იმ პოლიტიკური ძალის მიერ იყო შეთხზული, რომელიც ილიას მკვლელობას გეგმავდა. ხმები იმის შესახებ, რომ ილიას მალე მოკლავდნენ, ასევე ზემოხსენებული პოლიტიკური ძალის მიერ იყო გავრცელებული.

ბუნებრივად ისმის კითხვა: თუ **ილია გლეხებმა არ მოკლეს 1905-1906 წლებში, როცა ბევრი მემამულე გამოასალმეს სიცოცხლეს და როცა მემამულის მკვლელობა ჩვეულებრივი მოვლენა იყო, რატომ ჩაიდინეს ეს 1907 წლის აგვისტოში, როცა მემამულეთა მიმართ სისხლიანი ანგარიშწორება უკვე წარსულს ჩაბარდა და მკვლელებს სასჯელისაგან თავის დაღწევის არანაირი შანსი არ ჰქონდათ?** 1905-1906 წლებში მემამულის მკვლელობას მიზეზი არ უნდოდა, ხოცავდნენ იმიტომ, რომ მემამულე იყო. მთელი გლეხობა აფექტის მდგომარეობაში იმყოფებოდა. 1907 წლის ზაფხულისათვის ვითარება კარდინალურად იყო შეცვლილი. გლეხობა დარბეული, წელში გატეხილი და, რაც მთავარია, დაშინებული იყო. საგურამოში გლეხების მიერ ილიას მკვლელობის ორგანიზება ძნელად სავარაუდოა.

გარდა ამისა, ყურადსაღებია კიდევ ერთი გარემოება. ილიას რომ გლეხობის შიში ჰქონოდა, მას შეეძლო საგანგებო დაცვის თანხლებით ემგზავრა და მისი სახლებიც საიმედოდ ყოფილიყო დაცული. რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოს წევრს დაცვის მოთხოვნის უფლება ჰქონდა. მით უმეტეს, რომ თბილისისა და დუშეთის მაზრაებში სამხედრო მდგომარეობაიყო გამოცხადებული.. **ილიას დაცვის აყვანა აზრადაც არ მოსვლია, რადგან მას ვერც კი წარმოედგინა, რომ გლეხები გზად ჩაუსაფრდებოდნენ და მოკლავდნენ**. როგორც ვთქვით, იმხანად გლეხები ილიას კი არა, თავისი სისასტიკით ცნობილ მემამულეებსაც კი ვეღარაფერს აკლებდნენ. თბილისის დროებითი სამხედრო გუბერნატორი ილიას მკვლელობის მიზეზად გლეხობის აღშფოთებას კი არ ასახელებდა, არამედ მიიჩნევდა, რომ გლეხები სოციალ-დემოკრატებმა წააქეზეს. 1907 წლის 1 სექტემბერს ილია ჭავჭავაძის მკვლელობასთან დაკავშირებით პეტერბურგში, სახელმწიფო კანცელარიაში, გაგზავნილ ტელეგრამაში თბილისის სამხედრო გუბერნატორი აღნიშნავდა: „предпологается, что князь убитместны микрестянами подстрекательству социал-демократов."

აქვე გვინდა გავიმეოროთ ზემოთქმული: კავკასიის მეფისნაცვლის ადმინისტრაციას ხელს აძლევდა აგრარულ ნიადაგზე მკვლელობის ვერსია (ისევე, როგორც ვერსია ძარცვის მიზნით მკვლელობისა). ამ შემთხვევაშიც პასუხისმგებლობა გაცილებით უფრო ნაკლები იქნებოდა, ვიდრე პოლიტიკური მოტივით მკვლელობის შემთხვევაში.

ამრიგად, აგრარულ ნიადაგზე ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ვერსია უსაფუძვლოა.

**მესამე ვერსია — მკვლელობა სომეხი ნაციონალისტების დაკვეთით.** სომეხი ნაციონალისტების დაკვეთით მკვლელობის ვერსია, ანუ ვერსია ეროვნული შუღლის ნიადაგზე მკვლელობის თაობაზე იმავე პოლიტიკური ძალის შეთხზულს ჰგავს, რომელმაც შეთხზა პირველი და მეორე ვერსია — მკვლელობა ძარცვის მიზნით და მკვლელობა აგრარულ ნიადაგზე. მიზანიც იგივე იყო: ხელისუფლების, საზოგადოებისა და ძიების შეცდომაში შეყვანა.

ცნობილია, თუ რაოდენ დიდი აღშფოთება მოჰყვა სომეხ ნაციონალისტთა შორის ილიას „ქვათა ღაღადს" (1899 წ.). **ილიას მკვლელობის სომხური ვერსიის შემთხზველი სწორედ ამ ფაქტით სპეკულირებდა.** ილიას მკვლელობის სომხური ვერსიით, გამოძიების შეცდომაში შეყვანა მკვლელობის მონაწილის, ილიას მეეტლის, თედო ლაბაურის, საშუალებით სცადეს. 1907 წლის 3 სექტემბერს მიცემულ ჩვენებაში თედო ლაბაურმა, მიღებული მითითების თანახმად, განაცხადა, მკვლელები სომხები იყვნენო ("Повидумнепоказалось, чтоэтибылиармяне") მეტი დამაჯერებლობისათვის თედო ლაბაურმა აღნიშნა: მკვლელები რუსულად ლაპარაკობდნენ, ოღონდ სომხური აქცენტითო: ,,Мнеслышалось, чтоэтилюдиговорилистакимакцентом, которым говорят по-русски армяне." მეორე დაკითხვისას, 1907 წლის 16 ნოემბერს, თედო ლაბაურმა თვითონვე უარყო ადრე მიცემული ჩვენება და განაცხადა: მკვლელები ქართველები იყვნენო. ხმები სომეხი ტერორისტების მიერ ილიას მკვლელობის თაობაზე მხოლოდ თედო ლაბაურის ჩვენებიდან არ იღებდა სათავეს. ეს უკანასკნელი ვერსია სხვა წყაროებიდანაც ვრცელდებოდა. სომეხი ნაციონალისტების მიერ ილიას მკვლელობის ვერსია სრულიად უსაფუძვლოდ მიიჩნია ვაჟა-ფშაველამ და ხალხს მოუწოდა, არ აჰყოლოდა პროვოკატორებს.

ამრიგად, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის სომხური ვერსიაც ნიადაგსმოკლებულად უნდა მივიჩნიოთ.

**მეოთხე ვერსია —მკვლელობა რუსეთის იმპერიის ხელისუფლების დაკვეთით.** რუსეთის იმპერიის ხელისუფლების დაკვეთით მკვლელობის ვერსია, ანუ პოლიტიკური მკვლელობის ვერსია, იმავე პოლიტიკურმა ძალამ შეთხზა, რომელმაც შეთხზა პირველი, მეორე და მესამე ვერსია (მკვლელობა ძარცვის მიზნით, მკვლელობა აგრარულ ნიადაგზე, მკვლელობა სომეხი ნაციონალისტების მიერ). ამ ვერსიის მიზანს შეადგენდა რუსეთის იმპერიის ხელისუფლების კომპრომეტაცია, ხელისუფლებისა და საზოგადოების დაპირისპირება. ვერსიამ რუსეთის იმპერიის ხელისუფლების მიერ ილიას მკვლელობის თაობაზე მეორე სიცოცხლე შეიძინა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პერიოდში. გაბატონდა შეხედულება იმის თაობაზე, რომ „ილია ჭავჭავაძე მოკლეს ცარიზმის მიერ მოსყიდულმა აგენტებმა." საბჭოთა ისტორიოგრაფია ილიას მკვლელობის მიზეზად ასახელებდა: რუსეთის სახელმწიფო საბჭოში ილიას ბრძოლას ქართველი ხალხის ინტერესების დასაცავად, გამოსვლას სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ, საქართველოს ავტონომიისათვის ბრძოლას. მოკლედ შევეხოთ ამ საკითხებს.

ილია რომ რუსეთის სახელმწიფო საბჭოში ქართველი ერის ინტერესებს იცავდა, ეს საყოველთაოდაა ცნობილი. **სახელმწიფო საბჭოში თავისი მოღვაწეობის განმავლობაში ილიას ისეთი არაფერი უთქვამს ან გაუკეთებია, რომ ხელისუფლებას იგი მიუღებლად და, მით უმეტეს, საშიშად მიეჩნია.** ილია ტიპური ლიბერალ-დემოკრატი იყო, მისთვის უცხო იყო ყოველივე რადიკალური და ექსტრემისტული. სახელმწიფო საბჭოში ილიას გამოსვლები სახელმწიფოებრივი აზროვნების ნიმუშს წარმოადგენდა. ამ გამოსვლებს ხელისუფლების მხრიდან რაიმე პროტესტი არასოდეს მოჰყოლია. წლების განმავლობაში გრძელდება ის გაუგებრობა, რომელიც წარმოიშვა სახელმწიფო საბჭოში სიკვდილით დასჯის გაუქმებასთან დაკავშირებით ვითომდა ილიას გამოსვლის თაობაზე. იმხანად უამრავი რუსი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, იურისტი ითხოვდა სიკვდილით დასჯის გაუქმებას. **საქმე ეხებოდა არა საერთოდ სიკვდილით დასჯის გაუქმებას (რაც გათვალისწინებული იყო რუსეთის იმპერიის კანონმდებლობით), არამედ ხელისუფლების მიერ რევოლუციის პერიოდში დროებით შემოღებული სიკვდილით დასჯის საგანგებო (განსაკუთრებული) წესის გაუქმებას, ანუ სამხედრო ტრიბუნალებისათვის სიკვდილით დასჯის განაჩენის გამოტანის უფლების ჩამორთმევას.** როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ილია იზიარებდა გამოჩენილი რუსი პოლიტიკოსებისა და იურისტების აზრს და ემზადებოდა კიდეც ამ საკითხზე სახელმწიფო საბჭოში გამოსვლისათვის. მიუხედავად ამისა, **ილია სიკდილით დასჯის გაუქმების მოთხოვნით სახელმწიფო საბჭოში არ გამოსულა და რომც გამოსულიყო, ამაში ხელისუფლებისათვის საშიში არაფერი იქნებოდა** (სამხედრო ტრიბუნალების მოქმედება შემდგომში მართლაც შეაჩერეს). რუსეთის იმპერიის ხელისუფლებისათვის ჯერ კიდევ 1905 წელს კარგად იყო ცნობილი ილიას დამოკიდებულება საქართველოს ავტო-ნომიის იდეისადმი. საქართველოს ავტო-ნომიის ილიასეული იდეა რომ რუსეთის იმპერიის ხელისუფლებას საშიშად მიეჩნია, მაშინ ილიას 1906 წელს სახელმწიფო საბჭოს წევრად არ აირჩევდნენ და საქმესაც არ გაირთულებდნენ. **ილია ჭავჭავაძეს რუსეთის სახელმწიფო საბჭოში საქართველოს ავტონომიის საკითხი ოფიციალურად არ დაუყენებია, და რომც დაეყენებინა, ეს არ შეიძლებოდა გამხდარიყო სახელმწიფო საბჭოს წევრის ფიზიკური ლიკვიდაციის საფუძველი.**

და ბოლოს. რუსეთის იმპერიაში პოლიტიკური მოტივით სახელმწიფო საბჭოს წევრის მკვლელობა ყოვლად წარმოუდგენელი იყო. ხელისუფლებისათვის არასასურველი მოღვაწე ადვილად შეიძლებოდა გამხდარიყო სახელმწიფო სათათბიროს წევრი. ამის საშუალებას იძლეოდა საარჩევნო სისტემა. მაგრამ ხელისუფლებისათვის არასასურველი პოლიტიკოსი ვერასგზით ვერ გახდებოდა სახელმწიფო საბჭოს წევრი, ამას გამორიცხავდა საარჩევნო სისტემა. ამიტომ იყო, რომ ხელისუფლებისათვის მიუღებელი პოლიტიკური მოღვაწე არასოდეს ყოფილა რუსეთის სახელმწიფო საბჭოში.

ამრიგად, ვერსია რუსეთის იმპერიის ხელისუფლების დაკვეთით ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შესახებ მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს.

**მეხუთე ვერსია — სოციალ-დემოკრა--ტების მიერ პოლიტიკური მოტივით ორგანიზებული მკვლელობა.** ილია ჭავჭავაძის მკვლელობის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (რსდმპ) ხელმძღვანელობამ (ვლადიმირ ლენინი, გრიგორი ზინოვიევი და სხვ.), რომელიც იმხანად ემიგრაციაში (პარიზში, ჟენევაში) იმყოფებოდა. ტერორისტული აქტის განხორციელებისთვის საჭირო თანხაც საზღვარგარეთიდან შემოვიდა (საქართველოში არ მოუპოვებიათ), ქილერი ქართველი იყო. **რსდმპ თბილისის კომიტეტს ილიას მკვლელობის თაობაზე გადაწყვეტილება არ მიუღია, კომიტეტის სხდომაზე ეს საკითხი არ განხილულა.** ქართველ სოციალ-დემოკრატთაგან მკვლელობის ორგანიზებაში მონაწილეობდნენ **ფილიპე მახარაძე** და **სერგო ორჯონიკიძე.** არც ერთი იმხანად რსდმპ თბილისის კომიტეტის წევრი არ ყოფილა, ისინი კომიტეტის დავალებით არ მოქმედებდნენ და არც ანგარიშს აბარებდნენ მას.

რსდმპ ხელმძღვანელობამ ილიას მკვლელობა გულდასმით მოამზადა. ჩვენ მიერ ზემოთ ხსენებული ოთხივე ვერსია (მკვლელობა ძარცვის მიზნით, მკვლელობა აგრარულ ნიადაგზე, მკვლელობა სომეხი ნაციონალისტების დაკვეთით, მკვლელობა რუსეთის იმპერიის ხელისუფლების დაკვეთით) სოციალ-დემოკრატებმა შეთხზეს და ილიას მკვლელობის პირველივე დღიდან ავრცელებდნენ ხალხში. მკვლელობამდე დარხეული ხმები იმის შესახებ, რომ ილიას მალე მოკლავდნენ, ასევე სოციალ-დემოკრატების გეგმის ნაწილს წარმოადგენდა. ილიას მოურავი მოსე მეძარნიშვილიცა და მისი მეუღლეც სოციალ-დემოკრატებმა დაახოცვინეს. გამოძიებისთვის თედო ლაბაურის და სხვათა მიერ მიცემული ჩვენებებიც მეტწილად სოციალ-დემოკრატების მიერ იყო ნაკარნახევი.

სოციალ-დემოკრატების მიერ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ვერსია ოფიციალურად თბილისის დროებითმა სამხედრო გუბერნატორმა წამოაყენა 1907 წლის 1 სექტემბერს პეტერბურგში, სახელმწიფო კანცელარიაში, გაგზავნილ ტელეგრამაში. მასში ვკითხულობთ: „სავარაუდოა, რომ თავადი მოკლეს ადგილობრივმა გლეხებმა სოციალ-დემოკრატების წაქეზებით." („предпологается, чтокнязьубитместнымикрестянамиподстрекательствусоциал-демократов"). საზოგადოების ნაწილს ამის გარეშეც სჯეროდა, რომ ილიას მკვლელობის ორგანიზატორები სოციალ-დემოკრატები იყვნენ. **აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ილიას მკვლელობასთან არანაირი კავშირი, არც პირდაპირი და არც არაპირდაპირი, არ ჰქონია ორ ქართველ სოციალ-დემოკრატს — ნოე ჟორდანიასა და იოსებ ჯუღაშვილს (სტალინს).**

დღეს ჩვენ ხელთ არსებული მასალების ანალიზის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ:

1. 1905 წლის გაზაფხულზე ილიას წინააღმდეგ მიმართული ბინძური კამპანიის შედეგად სოციალ-დემოკრატებმა ჩათვალეს, რომ ილიას სახელი გაუტეხეს და იგი ხელს ვეღარ შეუშლიდა მათი გეგმების რეალიზებას. 1905 წელს ილიამ ლიბერალურ-დემოკრატიული ტიპის პარტიის შექმნა სცადა, მაგრამ უშედეგოდ. სოციალ-დემოკრატებმა ესეც თავიანთ გამარჯვებად მიიჩნიეს. რსდმპ ხელმძღვანელობა თვლიდა, რომ საქართველოში მათი ყველაზე ძლიერი და საშიში მოწინააღმდეგე პოლიტიკურად განეიტრალეს და უმნიშვნელო ძალად აქციეს.

2. 1906 წელს ილია რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრად აირჩიეს. რსდმპ ხელმძღვანელობისთვის ეს მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნის ტოლფასი იყო. ყველასათვის ცხადი გახდა, რომ ილიას გარშემო თავს მოიყრიდა საქართველოს ავტონომიისა და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის მებრძოლი ძალები. ავტონომიაცა და ავტოკეფალიაც პრინციპულად ეწინააღმდეგებოდა რსდმპ პროგრამას. საქართველოს ავტონომიის მოპოვებისა და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემთხვევაში დაიწყებოდა ეროვნული მოძრაობის მძლავრი აღმავლობა. **არ იყო გამორიცხული, რომ ილია ამჯერად მოახერხებდა მთელი ქართველი ერის, ყველა სოციალური წოდების, ინტერესების გამომხატველი ლიბერალურ-დემოკრატიული (ცენტრისტული) პარტიის შექმნას. ეს კი მინიმუმამდე დაიყვანდა საქართველოს ტერიტორიაზე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში სოციალ-დემოკრატების გამარჯვების შანსს.** ქართულ საზოგადოებრივ მოძრაობაში ეროვნულ ძალთა გაბატონებას რსდმპ ხელმძღვანელობა ვერასგზით ვერ დაუშვებდა. ილიას მკვლელობა კი ეროვნულ ძალთა დაქსაქსვისა და დასუსტების საუკეთესო საშუალებად იქნა მიჩნეული.

**ვახტანგ გურული**

**(გაგრძელება იქნება)**

(საქართველოს ახალი ისტორია, ტ.3. გვ.536-539)

# ნორჩმა გიტარისტებმა საოცარი შთაბეჭდილება დატოვეს



**ალიონი.** ქალაქ ოზურგეთში, არაფორმალურ გარემოში კლასიკური მუსიკის კონცერტი გაიმართა.

ცნობილი მუსიკოსის **ალექსანდრე (ალიკა) აბაშმაძის** აღზრდილებმა საანგარიშო კონცერტი წარმოადგინეს და გიტარაზე კლასიკური ნაწარმოებები შეასრულეს. დარბაზში მყოფ კულტურის სფეროს მუშაკებს, მუსიკის პედაგოგებს, ჟურნალისტებს და სხვა სტუმრებს საშუალება ჰქონდათ მოესმინათ კლასიკური ნაწარმოებები: —ეტიუდები, პიესები და როგორც ალიკა აბაშმაძემ განაცხადა რამდენიმე კლასიკური ნაწარმოების მისეული ქოვერ ვერსიაც.

კონცერტი სიმბოლურად უკრაინული ხალხური სიმღერით დაიწყო.იგი ჩვენს ქალაქში მცხოვრებმა ლატვიელმა აუშრა ფალჩიუკათმა და მარი მახარაძემ შეასრულეს.

ამას მოჰყვა უფრო ჩქარ ტემპში შესრულებული ,,ანდანტინო,"( დათო ხელაძე, ელენე მუჯირი) და ,,ეტიუდი" სოფი ვალსი (ანა მუჯირი, ანა ნაცვალაძე, ნუცა კალანდაძე)

შემდეგ კოსტი ,,რონდოლეტო,"; კულიანი ,,ეტიუდი"; კარკასი ,,ეტიუდი" ტრებოლო; აგუადო ,,ეტიუდი" (ნინი წულაძე, ანა ნაცვალაძე; დები ანა და ელენე მუჯირები; ნინი სირაძე, ლევან დარჩია).

კარულის ,,პიესა ორი გიტარისათვის" 6 მოსწავლემ შეასრულა (მარი მახარაძე, ელენე, ანა მუჯირები, ანა ნაცვალაძე, ნინი წულაძე, ლევან დარჩია).

გია ყანჩელის ,,ყვითელი ფოთლები თან მიაქვს ქარსდა აყრის ფიფქებად შენს სახლის კარს "ერთ-ერთი პოპულარული ნაწარმოებია მის შემოქმედებაში და სოლისტებმა მარი მუჯირმა, ნინი სირაძემ და ნუცა კალანდაძემ საოცარი სიყვარულით შეასრულეს იგი.

კონცერტის კულმინაცია იყო ჯგუფურად შესრულებული სოფი ,,ეტიუდი ვარიაცია ლა მინორი":

მე-20 საუკუნის ტანგოს უმნიშვნელოვანესი არგენტინელი კომპოზიტორის ასტორ პიაცოლას ,,ლიბერტანგოსაც" სძლიეს და ფინალური ნომერი ესპანელი კომპოზიტორის და საუკეთესო გიტარისტის ფლამენკოს სტილში ,,რიო ანჩოთ" დაასრულეს.

აღფრთოვენებული დამსწრე საზოგადოება კონცერტის გარძელებას ითხოვდა. ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორმა **ზაზა ჯინჭარაძემ** ალიკა აბაშმაძის გიტარისტები წინასაახალწლოს თეატრის მცირე სცენაზე კონცერტის ჩასატარებლად მიიწვია.

თავიანთი ემოციები და აღფრთოვანება გამოხატეს: მუსიკოსმა და სცენარისტმა, ოზურგეთის კულტურის ცენტრის დირექტორის მოადგილე **ავთანდილ სირბილაშვილმა,** საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის გურიის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე **მელის ნადირიძემ,** ოზურგეთის სამუსიკო სკოლის პედაგოგმა **ნანა მგელაძემ**, ოზურგეთის სამხატვრო სკოლის დირექტორმა **კახა ვასაძემ** და სხვებმა.

ოზურგეთში კლასიკური მუსიკის საღამო შედგა.

# ოზურგეთელი თორნიკე თოდრია საცხენოსნო ტურნირის გამარჯვებულია!

ოზურგეთის მუნუციპალიტეტის სპორტულ – გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანების საცხენოსნო სექციის ცხენოსანი **თორნიკე თოდრია** საცხენოსნო ტურნირის ,,ოზურგეთის თასი 2023" (უფროსი ასაკის წმინდა სისხლიანი ცხენები -1600 მ) გამარჯვებული გახდა!

მეორე ადგილზე **მეჯიდ მამედოვი** (მარნეული ), მესამეზე კი **საბა ხურცია** ( მარტვილი) გავიდნენ.

საცხენოსნო ღონისძიება ,,ოზურგეთის თასი 2023 " . ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ – გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანების ორგანიზებით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიისა და საქართველოს ხალხური ცხენოსნობის ეროვნული ფედერაციის მხარდაჭერით გაიმართა

ნაგომრის ცენტრის მიმდებარე ტერიტორიაზე გამართულ ღონისძიებაში მონაწილეობა საცხენოსნო კლუბებმა სხვადასხვა მუნიციპალიტეტიდან მიიღეს.

ღონისძიება საერთაშორისო იყო და ასპარეზობაში აზერბაიჯანელი მხედარები და მოჯირითეები იღებდნენ მონაწილეობას.

დოღი ნაგომარში ცხენოსნობის პოპულარიზაციის მიზნით გაიმართა. სპორტი და ცხენოსნობა ერთერთი სეგმენტია ოზურგეთში ტურიზმის განსავითარებლად.

ჩემპიონებს და საპრიზო ადგილზე გასულ სპორტსმენებს სიგელები, მედლები, თასები, ფასიანი საჩუქრები სპონსორებიდან და ფულადი პრემიები (პირველი ადგილი – 500 ლარი; მეორე ადგილი – 300 ლარი; მესამე ადგილი –200 ლარი) გადაეცათ.



# ჩოხატაურში, სოფელ ხიდისთავში, ნოდარ დუმბაძის სახელობის საფეხბურთო ტურნირის ფინალი გაიმართა



მუნიციპალური ტურნირი უკვე მეორე წელია ტარდება. მასში, დაბა ჩოხატაურთან ერთად, მუნიციპალიტეტის ყველა სოფლის გუნდი მონაწილეობდა.

ფინალში ერთმანეთს ხიდისთავისა და დაბის გუნდები დაუპირისპირდნენ. გამარჯვება ჩოხატაურის გუნდმა მოიპოვა, რომელსაც თასი მუნიციპალიტეტის მერმა **დავით შარაშიძემ** გადასცა.

ტურნირს ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ.

# ოზურგეთის კორტებზე „ზაფხულის თასის" გათამაშება დასრულდა



ოზურგეთის საჩოგბურთო კორტებზე სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა ,,ზაფხულის თასის" გათამაშება ჩოგბურთში, რომელშიც 18 მოყვარული ჩოგბურთელი მონაწილეობდა.

ნახევარფინალში ოზურგეთელი ილია გელაშვილი, გოგა ღლონტი, ქუთაისელი გიგა ხმელიძე და თბილისელი ნიკა მენაბდე გავიდნენ.

ორთავე შეხვედრაში სტუმრებმა სძლიეს მასპინძლებს და დღეს ფინალურ ორთაბრძოლაში **გიგა ხმელიძე** და **ნიკა მენაბდე** დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.

პირველი ფინალურ შეხვედრაში ხმელიძემ 4:1 სძლია მენებდეს, თუმცა მეორე სეტში 4:5 დათმო შეხვედრა.

საბოლოოდ გიგა ხმელიძემ ტაიმბრეიკში 10:7დაამარცხა მეტოქე და ,,ზაფხულის თასს" დაეუფლა.

# გურიის მოჭადრაკეებმა თავი ისახელეს



ნანა ალექსანდრიას სახელობის ფოთის XVI საერთაშორისო ფესტივალზე ჭადრაკში, წარმატებით იასპარეზეს რეგიონის მოჭადრაკეებმა.

გურიის ორგზის ვიცე ჩემპიონმა **ლანა ლომაძემ** ღია ,,დ" ტურნირში ქალთა შორის პირველი ადგილი დაიკავა. ხოლო ვაჟთა შორის (64 მონაწილე) მე-4 საპრიზო ადგილი დაიკავა. მან პირადი პეიტინგი ++68 ქულით გაიუმჯობესა.

წარმატებით გამოვიდა ,,ც" ტურნირში ლანჩხუთელი მოსწავლე **მიხეილ აფხაზავა.** მან აქ პირველი ადგილი დაიკავა და პირადი რეიტინგი +67 ქულით გაიუმჯობესა.

განსაკუთრებულად წარმატებული იყო **ანა მეგრელაძის** გამოსვლა ამ ტურნირზე. ანამ ,,დ" ტურნირში ქალთა შორის მე-2 ადგილი დაიკავა; ვაჟთა შორის – მე5ადგილი, ხოლო 16 წლამდე გოგონათა შორის პირველი იყო.

ანა მეგრელაძემ პირადი რეიტინგი +128 გაიუმჯობესა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მცირე წვიმა +19+28 | ღრუბელი +18+29 | ღრუბელი +19+28 | მზე, ღრუბელი +22+31 | მზე +20+29 | ძლიერი წვიმა +17+26 | ღრუბელი +16+21 |
| 2 აგვისტო ოთხშაბათი | 3 აგვისტო ხუთშაბათი | 4 აგვისტო პარასკევი | 5 აგვისტო შაბათი | 6 აგვისტო კვირა | 7 აგვისტო ორშაბათი | 8 აგვისტო სამშაბათი |